გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,

კვირა, 12 ივნისი, 2005 წელი.

№138 (5171)

იმისთანა წმინდა საქმეში, ბოგბოიც ბჭქდუბი სიტყვაა, ცეცხლით და ჭირებით გუბთის გაცანა ყველა ყელი-ბისათვის ისაძაგლოსია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ ტრაგედია

## რატომ მოიკლა თავი კვეკვესკირმა?



გუშინ, 11 ივნისს, დაახლოებით 14 საათზე საკუთარ საცხოვრებელ სახლში თავი მოიკლა ენერგეტიკის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მერაბ კვეკვესკირმა. თვითმკვლელობის ფაქტზე სამართალდამცავები ჯერ კომენტარს არ აკეთებენ.

კვეკვესკირს ბოლო ორი წელი სახელმწიფო სამსახურში არ უმუშავია, ბოლოს კი ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი დავით მირცხულავას მოადგილე იყო.

როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს" მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ განუცხადა, მირცხულავასთან დაკავშირებულ გამოძიების მასალებში კვეკვესკირის გვარი არ ფიგურირებდა.

◎ პრემიერ-მინისტრი

## ბანკი ეკონომიკური პროცესებით კმაყოფილია

**მსოფლიო ბანკი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით კმაყოფილია.**

ეს განცხადება გუშინ მსოფლიო ბანკის ევროპისა და აზიის დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტმა შიგელ კაცუმ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.



შეხვედრას პრემიერ-მინისტრთან ერთად საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილიც ესწრებოდა.

გუშინვე სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა. აღნიშნული ფონდის წარმომადგენლები საქართველოში უკვე მეორე დღეა იმყოფებიან. ისინი გუშინწინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდნენ.

◎ რაკურსი




ჯემალ კასრაძის ფოტო.

◎ კვირის თვალსაწიერი

## ფულით ან ფულზე

**თითქოს არა უშავდა რა, წყნარად, პატიოსნად მიილია კვირა, მაგრამ ბოლოს მაინც იქუხა და ისეთი სკანდალი აგორდა (თუ მთლად სკანდალი არა, შავი პიარი — ნაღდად!), კარგა ხანს რომ არ უწერია ჩაწყნარება.**

ქარიშხლის ეპიცენტრში ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მოექცა, რომლის წარმატებულ დიპლომატიურ ნაბიჯებზე სულ ახლახან ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა.

მიხეილ სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევიდან 18 თვის გასვლის შემდეგ, საქართველომ პირველ დიდ საგარეო-პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია. საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილისა და მისი რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის მრავალდღიანი დაძაბული მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას საქართველოში საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ.

მაგრამ ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მოპოვების კვალდაკვალ ქალბატონ სალომეს თანდათან უფუჭდებოდა ურთიერთობა ქვეყნის შიგნით. ეს გარეშე თვალისთვის სულაც არ ყოფილა დამალული. ამის შესახებ სულსწრაფად წერდნენ გაზეთები და ენამოუღლელად ლაპარაკობდა ყველა სატელევიზიო არხი.

კვანძის გახსნა, ანუ დარტყმა, ამ კუთხიდან თუ იმ კუთხიდან, აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც.

თანაც დარტყმა ისეთი „რაკურსით" მოხდა, რომ უთუოდ მთელ საზოგადოებრიობას ააღელვებს: ქალბატონ სალომეს ხელფასად ყოველთვიურად 15 ათასი ევრო ჰქონია და, რაც მთავარია, ამ თანხას თურმე საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყება უხდის!

ჯერჯერობით, ის არ თქმულა, სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის შპიონიაო, მაგრამ საკმაოდ მჭახედ გაისმა კითხვა, რატომ უხდის ფულს საფრანგეთის მთავრობა სხვა ქვეყნის მინისტრს (თავის ყოფილ ელჩს), თუ რაიმე დაინტერესება არ აქვსო?

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

**საქართველოს პარლამენტში პარასკევს განვითარებულ მოვლენებს ბელორუსიის მხარე აფასებს როგორც „აურზაურს არაფრის გამო". ეს განაცხადა ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი მარტინოვმა, ამ ქვეყნის სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„10 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალოს ბელორუსიის პრეზიდენტს, ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს შეუძლია გამოთქვას რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალონ ამერიკის, საფრანგეთის პრეზიდენტებს — იმ ქვეყნების ლიდერებს, რომლებთანაც საქართველოს სავიზო რეჟიმი აქვს", — თქვა მარტინოვმა. მან საქართველოს მხარე გააფრთხილა თავი შეიკავოს მოუფიქრებელი მოქმედებისგან. „ბელორუსიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ორი ქვეყნის ურთიერთობაში არსებულ სიტუაციას არა განცხადებების, არამედ მოქმედებების მიხედვით. თუ საქართველო გადადგამს რაღაც მოუფიქრებელ ნაბიჯს, ბელორუსიის მხარეც იძულებული იქნება მიიღოს ადეკვატური ზომები", — აღნიშნა მინისტრმა. ამავე დროს, მან ხაზი გაუსვა, რომ საღღეისოდ, ორ ქვეყანას შორის ჯერჯერობით არ ამოქმედებულა სავიზო რეჟიმი.

როგორც მინისტრმა განმარტა, პრეზიდენტ ლუკაშენკოს არ გაუცია განკარგულება საქართველოსთან სავიზო

ბელორუსიის ტელევიზია

ТЕЛЕРАДИОКОМПАНИЯ

რეჟიმის შემოღების შესახებ. „მან სათანადო ორგანოებს დაავალა, შეისწავლონ ორმხრივ ურთიერთობაში შექმნილი ვითარება და გამოთქვან მოსაზრება იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა სავიზო რეჟიმის შემოღება", — თქვა მარტინოვმა. მინისტრმა აგრეთვე განაცხადა: „ბელორუსიის მხარეს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველო აპირებს ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნოს ეგრეთ წოდებული „ფერადი რევოლუციების" იმპორტიორები. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, ბელორუსიის მხარე იძულებული იქნება იმოქმედოს თავისი უშიშროებიდან გამომდინარე". ამასთან, მარტინოვმა აღნიშნა, რომ ასეთ სიტუაციაში მოქმედება მიმართული იქნება არა საქართველოს რიგითი მოქალაქეების, არამედ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ეცდებიან ბელორუსი საზოგადოების სიმშვიდის დარღვევას და ქვეყანაში სტაბილურობისთვის ძირის გამოთხრას. „ჩვენთვის საქართველოს რიგითი მოქალაქეების ინტერესები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბელორუსიის ყოველი მოქალაქისა", — დასძინა მარტინოვმა. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს კეთილსინდისიერ მოქალაქეებს შეეძლებათ თავისუფლად მოხვდნენ ბელორუსიაში. „ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ქართველ ხალხთან მეგობრობას", — თქვა დასასრულ ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

◎ აქტუალური თემა

**„ჰოლანდიაში საკუთარ მიწაზე ფერმერმა ახალი ნაკელი რომ გაიტანოს, პასუხისგებაში მისცემენ! გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწა ამოიღო სასამართლო კოდექსიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება".**

მაშ რატომ ცდილობენ ასე გულმოდგინედ ჩვენი „ეროვნული ხელისუფლების" მესვეურები ასე ჰაიჰარად მიწების გაყიდვას?

იხ. მე-4 გვ.

◎ რეგიონი

## ქობულეთი: არა ოდენ ზღვა, კიდევ რაღაც სხვა...

### 4. „სიყვარული დაფრინავს, — სიყვარული არ დადის"...

**ყოველი ასეთი მოვლენა, ახლა რომ უნდა გაგაცნოთ, იმედით გვავსებს: რაც უნდა დუხჭირი იყოს ცხოვრება, ის მაინც განუმეორებლად ლამაზია! ამ სილამაზეს ძებნა არ სჭირდება. უბრალოდ, მიმოიხედე ირგვლივ და ადვილად შეამჩნევ, რომ ის ყველგან არის — სულიერსა თუ უსულო საგნებში, პაწია, სუსტ ყვავილშიც და მის უდიდებულესობა ადამიანშიც!**

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ მიდგას 2004 წლის მაისის ქობულეთი და ხალხით გადაჭედილი მისი კულტურის სასახლე. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ადამიანებს მოენატრათ შეხვედრები, სადაც მეუფე სიყვარული და თანადგომა იქნებოდა.

იხ. მე-2 გვ.

◎ რეგიონი

## ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეა რუსეთს საქართველომ შესთავაზა

**ქართულ-რუსული ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეა რუსეთის მხარეს საქართველოს ხელისუფლებამ შესთავაზა.**

„ეს გადაწყვეტილება ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი იყო. რუსეთს თავისი სახე უნდა შეენარჩუნებინა. საქართველოდან მისი წასვლა გაქცევას არ უნდა დამსგავსებოდა", — აცხადებს სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი თემურ იაკობაშვილი.

მისი აზრით, რუსეთის სამხედრო ბაზების იმ ფორმით გასვლა საქართველოდან, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპიდან და გერმანიიდან მოხდა, ვლადიმერ პუტინს თავის გუნდში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ამიტომაც, ბაზების გაყვანას შედარებით იოლი ფორმა მიეცა.

„იმის შიშით, თითქოს საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტურა შემოვა, ანალიტიკური ცენტრის შექმნაზე უარის თქმას აზრი არა აქვს", — მიაჩნია თემურ იაკობაშვილს.

„ჯი-ეიჩ-ენი".

◎ ახალი სიო

## პრეზიდენტი — ძე პრეზიდენტისა

იხ. მე-5 გვ.



ნოდარ ახალკაცი-უმცროსის ბავშვობისდროინდელი დარტყმა გუშინ „ცხრიანით" დაგვირგვინდა.

◎ ინფორმაცია

## დიდი ლიახვის ხეობაში ვითარება იძაბება

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე დიდი ლიახვის ხეობა, ფაქტობრივად, ბლოკადაშია მოქცეული.**

ცხინვალის პირობით საზღვართან, ერგნეთთან რუს სამშვიდობოებს კონტროლი აქვთ გაძლიერებული, რის შედეგადაც მოძრაობა თითქმის შეწყვეტილია და ხეობის მოსახლეობა სოფლებიდან გასვლას ვერ ახერხებს. ამის მიზეზად გაუჩინარებული ოთხი ქართველის, ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ძებნა სახელდება.

როგორც სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს" პარლამენტარმა გურამ ვახტანგაშვილმა განუცხადა, ამ ფაქტმა, შესაძლოა, კონფლიქტის ზონაში ვითარების გართულება გამოიწვიოს. მისივე თქმით, დაკარგულების ნათესავები კვლავ საპროტესტო აქციებითა და გზების გადაკეტვით იმუქრებიან.

მათ სოფელ ქურთაში გუშინ საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრი შეხვდა, რომლებიც დახმარებას დაპირდნენ.

შეგახსენებთ, რომ ხაჭაპურიძეები და ლომიძე 6 ივნისს გაუჩინარდნენ. მათი ადგილსამყოფელის სასწრაფოდ დადგენის მოთხოვნით მათმა ნათესავებმა თბილისში, სახელმწიფო კანცელარიასთან 10 ივნისს საპროტესტო აქცია გამართეს.



## ლუკაშენკო პერსონა ნონ გრატად ცხადდება

**ბელორუსიის პრეზიდენტის ადმინისტრაცია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ.**

**როგორც ლუკაშენკოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნატალია პეტკევიჩი აცხადებს, სამართლებრივი საფუძველი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებისთვის არსებობს, თუმცა ამგვარი დოკუმენტი განხილვისთვის არ მომზადებულა.**

**„საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, თუმცა ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებზეა დამოკიდებული", — აღნიშნა პეტკევიჩმა.**

**შეგახსენებთ, რომ ბელორუსიის საგარეო საქმეთა წარმომადგენელი 10 ივნისს სავიზო რეჟიმის დაწესებას ადასტურებდა და აცხადებდა, რომ საქართველოს მოქალქეებს ვიზების შეძენა ბელორუსიის ნებისმიერ უცხოეთის წარმომადგენელობასა და აეროპორტ „მინსკი 2"-ის საკონსულო პუნქტში შეეძლებათ.**

**ამასთან, საქართველოს პარლამენტმა უკვე მოამზადა დადგენილების პროექტი, რომლითაც ლუკაშენკო პერსონა ნონ გრატად ცხადდება.**

„ჯი-ეიჩ-ენი".

◎ გულნატკენი კაცის წერილი

## ისევ „თამაშგარე" მდგომარეობაში?!

**„ვინაიდან თქვენს მიერ მიღებული ჯილდო არ განეკუთვნება „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ კატეგორიებს, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემის შესაძლებლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წელს მოკლებულია".**



**ასეთ პასუხს აძლევს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ გობეჯიშვილი დიდი სამამულო ომის მონაწილეს, დირსების ორდენოსან შოთა ბუაძეს.**

**გაუგებარია, რატომ მიიღო პარლამენტმა ყოვლად ულოგიკო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთჯერადი პრემია უნდა გასცენ მხოლოდ მათზე, ვინც ჯილდო 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ მიიღო. კი მაგრამ, რა დააშავეს იმათ, ვინც იგივე ჯილდო 2003 წლამდე მიიღეს?**

იხ. მე-3 გვ.

## ინტერპანორამა

**ისრაელმა შეიძლება ციხიდან გაათავისუფლოს „ფატჰის" ლიდერი მარვან ბარგუტი. როგორც გუშინ საემიროების გაზეთი „ალ-ჰალიჯი" იუწყებოდა, ასეთი „საიდუმლო პროექტი" შესთავაზა ისრაელის მთავრობას მინისტრთა ერთმა ნაწილმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ ნაბიჯზე წასვლა სწორედ ახლაა საჭირო. თავიანთ ამ ინიციატივას ისინი პალესტინის საზოგადოებრიობაში ბარგუტის დიდი პოპულარობით ხსნიან.**



**თურქმენბაშმა თავისი ენერგეტიკის მინისტრი ქვეყანაში გაზის დეფიციტის გამო სამი თვის ხელფასით დააჯარიმა. ბენზინის დეფიციტი 2004 წლის ბოლოს წარმოიშვა რამდენიმე დღით. პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა განაცხადა, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა: „იმის გამო, რომ შენ ბენზინის დეფიციტი დაუშვი, თანაც ეს არ შემატყობინე, სამი თვის ხელფასს დაემშვიდობე".**

◎ პარლამენტის თავმჯდომარე



## ჰოლანდია საქართველოს პარლამენტს დაეხმარება

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ჰოლანდიის დელეგაცია მიიღო.**

დელეგაციის ხელმძღვანელია ჰოლანდიის ფინანსთა მინისტრი და ამავე დროს ვიცე-პრემიერი ხერიტ ზენლამია. ასევე დელეგაციის შემადგენლობაშია ჰოლანდიის თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრი აგნესა ვან არდე.

შეხვედრამ, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, თითქმის ერთ საათს გასტანა. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, საუბრის ძირითადი თემა ფინანსური და საბიუჯეტო საკითხები იყო.

მისი თქმით, ჰოლანდიური მხარე დაინტერესდა პარლამენტის როლით საბიუჯეტო პროცესებში. ასევე დაინტერესება იყო პარლამენტის როლით სამხედრო ბიუჯეტთან მიმართებაში.

კოტე გაბაშვილის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ჰოლანდიურმა მხარემ საქართველოს პარლამენტს გარკვული დახმარებაც გაუწიოს. თუმცა, ჯერჯერობით დაკონკრეტებული არ არის დახმარების ფორმა.

## მსოფლიო ბანკი საქართველოში მუშაობას გააქტიურებს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ დახურულ კარსმიღმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შიგელ კაცუ მიიღო. შეხვედრას დარგობრივი ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.**

როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მსოფლიო ბანკი საქართველოში საკუთარ მუშაობას გააქტიურებს და მისი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად შესამჩნევი იქნება, ვიდრე აქამდე იყო. არ არის გამორიცხული, რომ მსოფლიო ბანკმა პროექტების დაფინანსებაც გაზარდოს.

ლეკიშვილის განცხადებით, განიხილება სერიოზული პროექტები ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, კულტურისა და ეკოლოგიის მიმართულებით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ქართულმა მხარემ შეხვედრაზე გარემოს დაცვითი პრობლემების დაფინანსების საკითხი დააყენა. მისი თქმით, საუბარია 4-5 მილიონ დოლარზე, რომელიც ქართულ მხარეს რუსულ სამხედრო ნაწილებში ეკოლოგიური ვითარების გამოსასწორებლად სჭირდება.

კოვზანაძის განცხადებით, გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

„ХО-ЭОВ-ЭЕО“.

◎ აკრძალული ზონა

# ბებოს მარწყვი პირის გასამწარებლად

**№1 საპყრობილე ბრალდებულებით გადატენილია. 1500-ადგილიან საპატიმროში განაჩენს 3000 ადამიანი ელოდება. სწორედ მათი რაოდენობით არის გამოწვეული ის გარემოებაც, რომ თითქმის ყოველდღე ამანათების დარბაზში რიგი დგას.**

მძიმე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ბრალდებულთა ახლობლები როგორღაც ახერხებენ, რომ პატიმრობაში მყოფს აუცილებელი ნივთები, ტანსაცმელი, სიგარეტი და მცირე საკვები მაინც შეაწოდონ.

კარგა ხანია, საზოგადოებაში საუბრობენ, რომ ამანათის გადაცემისას ურიგოდ წასვლა თუ გინდა, კონტროლიორთან 3-5 ლარი უნდა გადაიხადო, აკრძალული ნივთების შეტანისას კი გაცილებით მეტს ითხოვენო. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დავით დარახველიძემ ობიექტის დასაზვერად ერთი კვირა საპყრობილის საამანათო დარბაზში გაატარა. იგი მოქალაქეებს თავს აცნობდა როგორც პრესის თანამშრომელი და დაწვრილებით ეკითხებოდა, თუ რამდენად წესიერად მიმდინარეობდა ამანათის გადაცემის პროცესი, თანამშრომლების მხრიდან რაიმე წინააღმდეგობას ხომ არ ხვდებოდნენ და თანხას ხომ არავინ სთხოვდა. ერთკვირიანმა დაკვირვებამ თურმე უჩვენა, რომ ამ სამსახურში ყველაფერი წესრიგშია, მოარული ხმების ჩასახშობად კი ამბობს: – ამანათის შემომტანსა და ჩვენს თანამშრომელს შორის უკვე კარგა ხანია არანაირი გარიგება არ დაფიქსირებულა, მსგავსი შემთხვევები რამდენიმე თვის წინათ იყო, რის გამოც არაერთი თანამშრომელი გავათავისუფლეთ. ეჭვი მაქვს, რომ სწორედ ეს ადამიანები ავრცელებენ ხმებს, თითქოს აქ ხალხს ვინმე ფულს სძალავს...

საამანათო დარბაზში არსებული მდგომარეობის გასაცნობად დავით დარახველიძემ ჟურნალისტებიც წაგვიყვანა...

ხალხი მართლაც მრავლად იყო. კარგია, რომ 30-40 წუთი რიგში მდგომთ დაჯდომის საშუალება მაინც აქვთ. დარბაზში ხნიერი ქალი შემოვიდა და ჩანთებით პირდაპირ საამანათო სარკმელს მიაშურა... აქეთ-იქიდან უმალ წამოიძახეს, – რიგი დაიკავეთ, რიგიო!.. ქალის ამგვარი საქციელი მიუთითებდა, რომ იგი აქ პირველად იყო. მაყვალა ბებოს კახეთიდან ჩამოტანილი მარწყვი გაეყიდა, ორი თვის წინათ დაკავებული შვილიშვილისთვის საკვები და სიგარეტი მოეტანა: – ასე მითხრა, ძირითადად სიგარეტი მომიტანეთ, საკანში ბევრნი ვართ და ყველას უნდა გავუნაწილოო.



მაყვალა ბებოსგან განსხვავებით პატარა ლიკა დედიკოს რიგში ჩაეყენებინა. დედამ უკვე იცის, რომ აქ ბავშვებს ურიგოდ არ უშვებენ და წესრიგს მკაცრად იცავენ.

რიგს ჩავუარე და საამანათო სარკმელს მივუახლოვდი, სადაც დიდი ასოებით წერია: „ფრთხილად! მოერიდეთ უცხო პირებისგან ამანათების მიღებას, შესაძლებელია მათში აკრძალული ნივთიერება აღმოჩნდეს. ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში“!

როცა ხალხი ბევრია, ხუთივე სარკმელს აღებენ, თითო სარკმლის წინ მდგარ მაგიდასთან თითო კონტროლიორი მუშაობს, ისინი შესაშური ქინით ათვალიერებენ სხვადასხვა ნივთებს თუ პროდუქტებს. მაგალითად, სიგარეტის კოლოფებს ხსნიდნენ და თითოეულ ღერს ხელით სინჯავდნენ; იგივე ბედი გამომცხვარ ღვეზელებსაც ეწიათ, რომელთა შიგთავსს კონტროლიორი გულდასმით ამოწმებდა; იქვე ყავა „პელეს“ კოლოფიც გახსნეს, სხვა ყუთში ჩაყარეს და გადასინჯეს; პური გაჭრეს და გული დაკვირვებით შეამოწმეს; ერთჯერადი ჩაიც ხელით სათითაოდ გადაქექეს. ჯერი შაქარზე მიდგა... კონტროლიორმა კახაბერ ოქრუაშვილმა ცელოფანი გახსნა, ჩაიხედა, ხელი ამოურია და თქვა: – შიგნით საფუარიაო!.. ამანათის მიმტანმა ახალგაზრდა კაცმა გაიკვირვა – არაფერი ვიციო?.. ბრალდებულები შაქრიან საფუარს თურმე ხილის წვენს ასხამენ, ადუღებენ და ციხის სასმელს – ე. წ. „ბრაგას“ ამზადებენ, ცხადია, ამ შაქარს ადრესატამდე აღარავინ მიუშვებდა...

ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანის მცდელობის ფაქტი თვეში 6-7-ჯერ მაინც ვლინდება. კონტროლიორმა კახაბერ ოქრუაშვილმა ნარკოტიკული ნივთიერება ბოლოს ხუთი დღის წინათ სიგარეტიდან ამოიღო. ისე კი იხსენებს, რომ მუშაობის 9 თვის მანძილზე ნარკოტიკი სალათა „ოლივიედან“, ცოცხიდან, შარვლის შეკეცილი ტოტიდან, ჩუსტიდან, ხილიდან, მაკარონიდან და ბრალდებულისთვის საიუბილეოდ მირთმეული ტორტიდანაც კი ამოუღია.

ასეთ შემთხვევაში იუსტიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებს იძახებენ, შემდგომ მოკვლევასაც ისინი აწარმოებენ.

კონტროლიორების უფროსმა რეზო ჩალიგავამ ჩვენთან საუბარში კომუნისტური წყობა გაიხსენა. მაშინ №1 საპყრობილე გადაჭედილი სულაც არ იყო. ამანათებზე ერთი სარკმელი მუშაობდა და რიგებიც არ იდგა. წონაც შეზღუდული იყო. დღეს კი სურვილის შემთხვევაში 100 კილოგრამის შეწოდებაც დაშვებულია. ბატონი რეზოს თქმით, მაშინ, საპყრობილეში ნარკოტიკების მომხმარებლები ერთეულები იყვნენ, შესაბამისად ნარკოტიკის აღმოჩენის ფაქტებიც იშვიათად იყო. განსხვავება კონტროლიორის ხელფასშიც არის, თუ მაშინ 120 მანეთს იღებდნენ და კვირაში ერთი დღე მუშაობდნენ, დღეს 5 დღეს მუშაობენ და 115 ლარს იღებენ. მათი ხელფასების სიმცირეზე მინისტრის მოადგილე დავით დარახველიძეც საუბრობს, ამ სამსახურში კადრების ნაკლებობასაც ამ მიზეზით ხსნის, თუმცა ამბობს, რომ: შემოდგომისთვის იუსტიციის მინისტრი წინადადებას წამოაყენებს, რომ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილებები, რათა თანამშრომელთა ხელფასები შედარებით გაიზარდოს.

კონტროლიორის თანამდებობაზე იუსტიციის სამინისტრო ახალ კადრებს მიიღებს, ოღონდ, როგორც ბატონი დავითი ამბობს, იქ ყველა ვერ იმუშავებს, მსურველებს ელემენტარული მიხვედრილობის და ოპერატიულობის ნიჭი უნდა ჰქონდეთ.

ამ წერილის წაკითხვისას ალბათ იფიქრებთ, ეს რა წესრიგი გვქონიაო: სამუშაო ადგილიც არის, გადაჭედილი საპყრობილეც მალე განთავისუფლდება, პატიმრებს რუსთავის და ქუთაისის ახალ საპყრობილეებში გადაანაწილებენ, მაგრამ რეალური მდგომარეობა არც მთლად ასეა...

დღეს ციხეში ნარკოტიკულ ნივთიერებებს კვლავაც აქტიურად იყენებენ, ბრალდებულთაგან გამოსული ხმებით ირკვევა, რომ არც მათი მოპოვება უჭირთ, – საიდან ხვდება ნარკოტიკი მათთან? ამ კითხვაზე პასუხი, სამწუხაროდ, არავის არ აქვს.

ლელა ხვადაგიანი.

◎ ინფორმაცია

### სიტუაცია პანკისში სტაბილურია



„პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ჯეიმს ქაუნის ფონდის პრეზიდენტს დენ ჰოვარდსა და ფონდის ექსპერტთა ჯგუფს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დაწყების წინ ფონდის პრეზიდენტმა ჰოვარდმა განაცხადა, მათი ვიზიტის ძირითადი მიზანი რეგიონში არსებული პრობლემატიკისა და ზოგადად არსებული ვითარების გაცნობაა.

მისი თქმით, საქართველოში ჯორჯ ბუშის წარმატებული ვიზიტის შემდეგ ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა.

ხუთკაციანი დელეგაცია გუშინ პანკისში იმყოფებოდა, სადაც შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ჩეჩნეთიდან დევნილებს. ჰოვარდის განცხადებით, სიტუაცია პანკისში სტაბილურია და ხელისუფლება სრულად აკონტროლებს იქ არსებულ მდგომარეობას.

### საქართველო კარგ მაგალითს უჩვენებს

ჯეიმს ქაუნის ფონდის დელეგაციის წევრი ჯონ ბეიზო კმაყოფილია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც „ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის“ მიღებას ეხება.

მისი თქმით, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

„საქართველო კარგ მაგალითს უჩვენებს რეგიონსა და მსოფლიოს,“ – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ჯონ ბეიზომ.

### ოპოზიცია ხელმოწერების შეგროვებას აპირებს

15 ივნისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოპოზიციური პარტიების განცხადება შევა. ისინი ბლანკებს მოითხოვენ, რათა მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყონ.

ოპოზიციას 200 ათასი მოქალაქის ხელმოწერა იმისთვის სჭირდება, რომ ქვეყანაში მერების არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდეს.

ზვიად ძიძიგურის თქმით, ამ პროცედურის ოთხშაბათამდე გადავადებას ერთ-ერთი პარტია აფერხებს. ოპოზიცია მათგან თანხმობას ელოდება, თუმცა ძიძიგური პარტიის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

„ХО-ЭОВ-ЭЕО“.

◎ კვირის თვალსაწიერი

# ფარით ან ფარზე



(პირველი გვერდიდან)

მართალია, ისიც ითქვა ქართველი მინისტრის ფრანგული ხელფასი პრეზიდენტების ჟაკ შირაკისა და მიხეილ სააკაშვილის მოლაპარაკების შედეგიაო, მაგრამ აგორებული ზვავის ხმაურში ეს შეიძლება ვერავინ ვერ (არ) გაიგოს, თანაც თურმე ქალბატონ სალომეს ეს 15 ათასი ევრო ამ წლის დეკლარაციაში შეტანილი არ ჰქონია. და პარლამენტში (ჯერჯერობით კულუარებში) უკვე გაისმა ჩვენი კანონმდებლების საყვარელი საომარი შეძახილი „იმპიჩმენტი!“

სხვისგან, უცხოსგან ეძლევა ხელფასი და ეს ვითარება ეჭვს ბადებსო!

მართალია, მაგრამ რატომ ის არ ბადებს ეჭვს, რომ ჩვენი მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო და პროკურატურა ვინმე უცხო კაცისგან იღებენ დანამატს (70 პროცენტი მათი ხელფასისა ბატონ ჯორჯ სოროსის ჯიბიდან არის გაღებული)?

სადაც სამართალია, ეს ლოგიკა (რაკიღა ვიღაცა ფულს გაძლევს, იმ ვიღაცის ინტერესებსაც უნდა ემსახურებოდე) საფრანგეთის რესპუბლიკიდან კერძო პირ სოროსზეც უნდა ვრცელდებოდეს. დალაგებულ და თავმოყვარე ქვეყანაში ხელისუფლება (საკანონმდებლოც, აღმასრულებელიც!), სასამართლოც, ფულს არავისგან არ უნდა იღებდეს – არც ხელფასად და არც ქრთამად. სხვაგვარად რომელ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე შეიძლება ლაპარაკი?

მე სწორედ ეს „ალოგიკურობა“ მალაპარაკებს, თორემ სალომე ზურაბიშვილი „ქალთა ომის“ (როგორც მოხდენილად თქვა ერთმა) ლაბირინთებიდან უჩემოდაც გამოიგნებს გზას – ფარით ან ფარზე!

ბაზების თაობაზე მოლაპარაკება კი კეთილად დასრულდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ კეთილად დასრულებამ რუსეთში უამრავი მტერი შეგვძინა.

ახლახან ლევადის დამოუკიდებელმა და ავტორიტეტულმა სოციოლოგიურმა ცენტრმა გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც 18 წლის ზევით ასაკის 1,6 ათასმა რუსეთელმა მიიღო მონაწილეობა, რათა გაერკვიათ, როგორ ხედავს ამ ქვეყნის მოსახლეობა გარე სამყაროს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მიგვანიშნებს: რუსეთელები მიიჩნევენ, რომ მათ ქვეყანას მსოფლიოში ჰყავს მეგობრებიც და მტრებიც. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა აზრი დაახლოებით თანაბრად გაიყო: ერთი ნაწილისთვის რომ ესა თუ ის ქვეყანა მტერია, მეორე ნაწილისთვის მეგობარია.

რუსეთის მეგობართა ნუსხაში პირველ ადგილზეა ბელორუსია, რომელმაც ხმათა 46 პროცენტი მოაგროვა, შემდეგ მოდიან გერმანია –23 პროცენტი, ყაზახეთი –20, უკრაინა – 17, ინდოეთი – 16, საფრანგეთი – 13, ჩინეთი – 12, აშშ – 11, ბულგარეთი –11 და სომხეთი – 9 პროცენტი.

რუსეთის მტრების სიას სათავეში ლატვია უდგას – 49 პროცენტი, შემდეგ ადგილები ასე ნაწილდება: ლიტვა – 42, საქართველო – 38, ესტონეთი – 32, აშშ – 23, საფრანგეთი – 13, ავღანეთი – 12, ერაყი – 10, იაპონია – 6 და ირანი – 6 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, გერმანიას, რომელიც ცოტა ხნის წინათ რუსეთის მთავარი მტერი იყო, ბევრი დღეს მეგობრად თვლის. მრავალი გამოკითხულისთვის იაპონია, რუსეთის მეორე მოწინააღმდეგე მეორე მსოფლიო ომში, მტერი აღარ არის.

მტრად შერაცხული ბევრი ქვეყანა რუსეთის დღევანდელი მეზობელია. ამასწინანდელმა საზოგადოებრივმა დებატებმა და დიპლომატიურმა წიაღსვლებმა, რუსეთმა ბოდიში უნდა მოუხადოს ბალტიის ქვეყნებს ნახევარსაუკუნოვანი საბჭოთა ოკუპაციისთვისო, ბევრ რუსეთელში სიძულვილი აღძრა ამ რესპუბლიკების მიმართ. ამას დაემატა ფართოდ გავრცელებული შეხედულება, იქ მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს ელემენტარულ უფლებებს უზღუდავენო...

როგორც ვხედავთ, საქართველო ბევრ რუსს თვალით არ დაენახვება. გამოკითხულთა 38 პროცენტი საქართველოს მტრად მიიჩნევს, იგი მესამეა „მტრების“ სიაში! ავღანეთს მხოლოდ 12, საქართველოს კი – 38 პროცენტი! რუსეთის საზოგადოებრიობისთვის მტრის ხატად საქართველოს წარმოჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მჭიდრო ურთიერთობას აშშ-თან და რუსეთის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ გაშლილ ბრძოლას.

გამოკითხულთა შორის ერთი აზრის უქონლობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ სსრკ დაშლის შემდეგ გასულ 14 წლის მანძილზე, რუსეთი ჯერ კიდევ ეძებს თავის ადგილს მსოფლიოში. როგორც ეტყობა, რუსეთს ყველაზე მეტად ეძნელება მოლაპარაკ[illegible]

[illegible]ებში რუსეთის ოფიციალურ საიტზე ერთი იმედისმომცემი დოკუმენტი გამოჩნდა. ეს არის რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება. ბატონმა პუტინმა დაამტკიცა სახელმწიფო კომისიის შემადგენლობა, რომელიც მოამზადებს მეგობრობის, კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და ორმხრივი უშიშროების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ხელშეკრულების პროექტს. კომისიის თავმჯდომარეა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი, პასუხისმგებელი მდივანი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი (ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ კომისიას ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საქმეთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი).

კომისიაში სულ 21 წევრია. ძველი შემადგენლობიდან ამ ორგანოში მხოლოდ სამი კაცი დარჩა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას ასამდე დოკუმენტი შეადგენს, რომლებიც მოიცავენ თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურულ და ჰუმანიტარულ სფეროებში.

გავიხსენოთ: საქართველომ და რუსეთმა ახალი, ყოვლისმომცველი ხელშეკრულების შემუშავება, რომელშიც ორი ქვეყნის ურთიერთობის ფუძემდებლური პრინციპები უნდა აისახოს, 2001 წლის დამლევს დაიწყეს.

მგონი, ამ ყბადაღებულ ჩარჩო ხელშეკრულებასაც ადგება საშველი. საინტერესოა, მისი ხელმოწერის შემდეგ საქართველო ისევ მტრების ნუსხაში დარჩება თუ მეგობრებში გადაინაცვლებს?

მომკლა ამ დაუსრულებელმა ამპლიტუდამ.

ალეკო ასლანიშვილი.

◎ ბოლნისელთა საწუხარი

# ვინ ხართ თქვენ, ბატონო ბენდუქიძე?

**ძველად ასეთი სათაურით ფილმი გამოვიდა – „ვინ ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ პარალელი სამართლიანია თუნდაც იმით, რომ ზორგეს მსგავსად ბატონი კახაც საიდუმლოებით მოცული პიროვნებაა.**

თუმცა ბატონი კახას პიროვნების ეს მხარე ცოტას თუ დააინტერესებდა, რომ არ იყოს იგი საქართველოს სახელმწიფო ქონების გასხვისებით დაკავებული. ამის გამო მისმა პიროვნებამ დიდი დაინტერესება გამოიწვია საზოგადოებაში.

ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ თუ პრივატიზაციით დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი ბატონ ბენდუქიძეს სამსახურისგან მოინდომებს რაიმე ინფორმაციის მიღებას, ის უქმად დაკარგავს დროს, რადგან მას არც მოუსმენენ და არც წერილზე უპასუხებენ. ინტერნეტში განთავსებული ობიექტის საპრივატიზაციო მონაცემებიც კი ბატონ ბენდუქიძესავით ბურუსით არის მოცული.

და ეს ხდება იმ დროს, როცა ბატონმა პრეზიდენტმა მრავალჯერ განაცხადა, რომ იგი ნებისმიერ დროს შეხვდება მეწარმეებს და ბიზნესმენებს. იცლის ქვეყნის პრეზიდენტი და ვერ იცლის, ან შეხვედრის სურვილი არ აქვს ბატონ კახას.

რადგან ჭეშმარიტება კონკრეტულობაშია, ერთი კონკრეტული ობიექტის პრივატიზაციის თაობაზე გვსურს მოვახსენოთ მკითხველს.

იყიდება სს „მადნეულის“ სახელმწიფო წილი. „მადნეული“ ერთ-ერთი ის საწარმოა საქართველოში, რომელიც წლების განმავლობაში უშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას და მას საზღვარგარეთ ყიდის. საწარმოში საქმიანობენ საკმაო რაოდენობის ადამიანები და იღებენ ხელფასს. დღეისათვის კომბინატი მომგებიანიც გახდა და მაშინვე დადგა მისი გასხვისების საკითხი. „მადნეულში“ ჩამობრძანებულმა პრემიერ-მინისტრმა მოკლედ განმარტა, რომ „მადნეულის“ სახელმწიფო წილის პრივატიზაცია ხდება იმიტომ, რომ ბიუჯეტს შემოსავლები სჭირდება, ხოლო კომბინატს – ინვესტიციებიო.

თუ ბიუჯეტის შევსება სახელმწიფო ქონების გასხვისებით წესად იქცა, მაშინ აუცილებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ კანონის შეცვლა, ხოლო თუ მომგებიანი საწარმოებიც ინვესტიციებისთვის იბრძვიან, აქ სრულიად სხვა მიზნებია და საწარმოს ინტერესები არაფერ შუაშია.

მაგრამ დავუბრუნდეთ „მადნეულის“ პრივატიზაციის საკითხს, რომელმაც უკიდურესობამდე დაძაბა მდგომარეობა ბოლნისის რაიონში და არა მარტო აქ. ძირითადი საკითხი, რომელიც „მადნეულის“ პრივატიზაციის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, მდინარე მაშავერას ეკოლოგიური მდგომარეობაა. „მადნეულის“ ამუშავების დღიდან მდინარე იწამლება იმ დოზით, რომ „მადნეულის“ ქვემოთ იგი ფაქტიურად მკვდარ მდინარედ იქცა: გაწყდა თევზი, ხმებიან წყალმცენარეები, მევენახეები ამ წყლით ვაზის შესაწამლ ხსნარს ვერ აყენებენ, ზაფხულის ცხელ დღეებში მშობლები შვილებს სასტიკად უკრძალავენ მდინარეში ჭყუმპალაობას.

იმის გამო, რომ სხვა გამოსავალი არა აქვთ, რეგიონის მაცხოვრებლები მაინც ამ წყლით რწყავენ ვენახებსა და ყანებს და, როგორც ამტკიცებენ, მძიმე ლითონები გროვდება ნიადაგში, ჭირნახულში.

ასეთ მდგომარეობას რეგიონის მოსახლეობა ითმენდა მხოლოდ იმიტომ, რომ „მადნეულში“ დასაქმებული არიან მათი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები. აქ კარგად იციან, თუ რას ნიშნავს დასაქმებული ადამიანი დღევანდელ პირობებში.

როდესაც „მადნეულის“ გასხვისების ხმა დაირხა, ბოლნისის რაიონის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა ხელმოწერები შეაგროვეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელზე, რომ გაეთვალისწინებინათ მდინარე მაშავერას გაწმენდის სამუშაოები „მადნეულის“ საპრივატიზაციო ვალდებულებათა ჩამონათვალში. წერილში მითითებულია მდინარის გაწმენდის კონკრეტულ პროექტზე, რომელიც კომბინატის ამოქმედებისას იქნა დამუშავებული.

ინტერნეტში განთავსებულ „მადნეულის“ საპრივატიზაციო მონაცემებში მდინარის გაწმენდის ვალდებულებაზე არაფერია ნათქვამი.

„მადნეულის“ კოლექტივს სურვილი აქვს მიიღოს მონაწილეობა მადნეულის პრივატიზაციაში, თუ მდინარე მაშავერას გაწმენდის სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებული იქნება „მადნეულის“ ექსპლოატაციის ვადის გახანგრძლივების სამუშაოები (ახალი საბადოების გახსნა, ფუჭი ქანის გატანა და სხვა).

როგორც ირკვევა, საკითხი სულ მარტივად გადაწყდებოდა, რომ არ იყოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (ნეტავ, ვინ დაარქვა ეს სახელი?) მისწრაფება, რაც შეიძლება ძვირად გაიყიდოს ობიექტი და ახალი მფლობელი გახდეს აუცილებლად უცხოელი.

რეგიონის მაცხოვრებლებს კარგად ესმით პრივატიზაციის აუცილებლობა, საწარმოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოვნიკებისგან და ბუნებრივია ებადებათ კითხვა: რატომ უნდა მოხდეს „მადნეულის“ გასხვისება კოლექტივის ინტერესების სრული იგნორირებით? რატომ უნდა შეეწირონ რეგიონის მაცხოვრებლები უცხოელთა მოგებებს?

გვახსოვს ბატონი პრეზიდენტის სიტყვები: „რაც უფრო ღიაა საზოგადოება და გამჭვირვალეა მთავრობა, მით მეტია წარმატების შანსი“ და ამიტომ რეგიონის მაცხოვრებელთა კითხვებზე პასუხის გაცემას ვთხოვთ ბატონ კახა ბენდუქიძეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. იგი ვალდებულიც არის ეს გააკეთოს, რათა შეასრულოს პრეზიდენტის მოთხოვნა მთავრობის გამჭვირვალეობის თაობაზე იმ საკითხებში, რაც მას ეხება.

ნუგზარ კოზახიძე,
ბოლნისის რაიონი.

◎ რეგიონი

# ქობულეთი: არა ოდენ ზღვა, კიდევ რაღაც სხვა...

(პირველი გვერდიდან)

მაშინ ზღვისპირეთის ამ მშვენიერი ქალაქის შვილებმა საოცარი სითბოთი აღნიშნეს ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი უსაყვარლესი პოეტის მურმან ლებანიძის დაბადების 80 წლისთავი. იმ საღამოს ჩვენი გაზეთი გამოეხმაურა წერილით „ქობულეთური ყვავილები – მურმან ლებანიძეს“.

იმ შაბათს ქობულეთელებმა „სიყვარულის ზეიმზე“ მიგვიწვიეს. ისევ ზღვა ხალხი, ყვავილები, ლექსი და სიმღერა, ისევ მონატრება და მოფერება. ყოველივე ამის წამომ[illegible] ესწრებოდნენ არა მარტო ქობულეთელები, არამედ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, ახლომახლო სოფლებიდან.

საღამოს დაწყებამდე სტუმრებმა დაათვალიერეს კულტურის სასახლის ფოიეში ქობულეთელი ნორჩი მხატვრების გამოფენა. მართლაც ვრცელია მათი ფანტაზია – დაწყებული კოსმოსით, ყოველდღიური ცხოვრებით და გუშინდელი „ვარდების რევოლუციით“. ცხადია, ყველა ავტორი ვერ გახდება დიდი მხატვარი, მაგრამ ამათგან რამდენიმემაც რომ შესძლოს შემოქმედის მაღალ კვარცხლბეკზე ასვლა, ესეც [illegible]

მერე იყო ლექსებში, სიმღერებში, ცეკვებში გაცხადებული სიყვარული, ურომლისოდაც არც „მზე სუფევს ცის კამარაზე“ და „არც სიო დაჰქრის“. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს 75 წლის პოეტს ზურაბ გორგილაძეს, რომელმაც თავის მხრიდან ბევრი თბილი სიტყვა უთხრა თბილისელ სტუმრებს. ამ განდობის გვირგვინი იყო დიდი თაიგული, მურმან ლებანიძის მეუღლეს – ელენე ჭავჭავაძეს რომ მიართვეს... მერე თენგიზ არჩვაძე იდგა მიკროფონთან და ათრთოლებული ხმით იხდიდა მადლობას... ლექსს ისევ სიმღერა [illegible] მართლაც [illegible]ბული ძმე[illegible]ნდაგანა“.





ახლა წარმოვიდგინოთ, მთელი საქართველოს მასშტაბით თვეში თუნდაც ერთი ასეთი საღამო რომ ეწყობოდეს! ეს არის სწორედ სიცოცხლის ძახილი, ჩვენს ყოველდღიურ ერთფეროვნებაში შეტანილი დიდი მუხტი, რომელმაც ახალი ქვეყნის მშენებლობაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

აი, რა მითხრა ამ საღამოს ორგანიზატორმა, ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ნარგიზა რომანაძემ:

– ამ საღამოსთვის დიდხანს და მონდომებით ვემზადებოდით. საქმეში ჩაერთო დიდი და პატარა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ახალდანიშნულ გამგებელს მირზა მსუქნიშვილს, განათლების განყოფილების გამგეს გუგული ცინცაბაძეს. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენს ასწლოვან სკოლას სხვა მხრივაც არ აკლია ყურადღება: მაჟორიტარი დეპუტატის ავთანდილ ბეჟანიძის ძალისხმევით გამოგვიყვეს 131 ათასი ლარი, რაც სკოლის განახლება-რესტავრაციას მოხმარდება.

ჩვენც, ჩვენის მხრივ, ვეუბნებით მადლობას არა მარტო სიყვარულის დღესასწაულის მომწყობებს, არამედ მონაწილეებსაც – ჭეშმარიტი სულიერი ღირებულებების მხურვალე შემფასებლებს.

ელგუჯა ლებანიძე.
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი – ქობულეთი – თბილისი.

**სურათებზე: საღამოს მონაწილეები მიესალმებიან ელენე ჭავჭავაძეს; მადლობას იხდის თენგიზ არჩვაძე.**

◎ გადასახადი და ჩვენ

# 1. რა ერჩივნა მამულსა?..

## რა მოგვცა ახალმა საგადასახადო კოდექსმა

**მოვლენა, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, კარგა ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, შედგა – ქვეყნის პარლამენტმა ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღო, თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ ეს ცინცხალი ამბავი სულაც არ გახლავთ. მაშ რატომ ვაგრძელებთ მსჯელობას ამ საკითხზე, რატომ იწვევს იგი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს? საქმე ის არის, რომ, როგორც ეს, სამწუხაროდ, ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვემართება, ახალი საგადასახადო კოდექსი წინამორბედთან შედარებით, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე „შემსუბუქებული“ აღმოჩნდა და მის მიმართ მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. უწინარესად, რაღა თქმა უნდა, მეწარმეთა მხრიდან, ანუ იმათგან, ვისაც ახალი კანონი უშუალოდ ეხება. ამასთან, ეს მარტო ბიზნესმენთა სატკივარი არ გახლავთ, ვინაიდან საქართველოში წარმოების, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ჩვენი სასიცოცხლო ინტერესის სფეროს განეკუთვნება. ამიტომაც თითოეულ ჩვენგანსაც მეტ-ნაკლებად ეხება.**

**ვინ იცნობს ყველაზე უკეთ ახალი კანონის პოზიტიურ თუ ნეგატიურ მხარეებს? ცხადია, უწინარესად, თავად მეწარმეები. სწორედ ამიტომაც რამდენიმე შეკითხვით ახალი საგადასახადო კოდექსის თაობაზე მივმართეთ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს გიორგი ისაკაძეს.**

**ბატონ გიორგისთან საუბრისას სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც შევეხეთ, რის შესახებაც მომდევნო წერილებში მოგითხრობთ.**

### შეურაცხყოფილი და „მუხრუჭმოშლილი“ კანონი



– საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის წევრთა დამოკიდებულება ახალი საგადასახადო კოდექსისადმი აშკარად არაერთგვაროვანია, თუმცა დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მათ უმრავლესობას, მათ შორის პირადად მეც, თუმცა თავად ჯერჯერობით აქტიური ბიზნესმენი არ გახლავართ, მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იყო იგი გაცილებით უკეთესი ყოფილიყო და არა ისეთი „მძიმე“, როგორიც სადღეისოდ არის, – თქვა გიორგი ისაკაძემ, – ყოველ შემთხვევაში, ბიზნესმენთა უმეტეს ნაწილში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომ **წინა საგადასახადო კოდექსი გაცილებით სჯობდა ახლანდელს.** პირადად მე მიმაჩნია, რომ **ეს ახალი კანონის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა.**

***– თუ შეიძლება, განმარტეთ თქვენი მოსაზრება.***

– ახალი საგადასახადო კოდექსის ადმინისტრაციული ნაწილის მეტ-ნაკლებად რეფორმირება მის ოპონენტებს, კერძოდ, მეწარმეებს ვგულისხმობ, იმ პრეტენზიების წამოყენების საშუალებას არ მისცემდა, რომლებიც ამჟამად სავსებით სამართლიანია. ანუ, ვგულისხმობ იმას, რომ უნდა ყოფილიყო თანაფარდობა ადმინისტრაციასა ე.ი. ფისკალურ ორგანოთა და მეწარმეს შორის. ამჟამად მოქმედ საგადასახადო კოდექსში კი ეს ბალანსი აშკარად დარღვეულია და ყოველივე ამის „გვირგვინი“ გახდა არბიტრაჟის სისტემა. ზოგად თეორიებსა და გარკვეულ დეტალებს თავი რომ დავანებოთ, **ფისკალური სამსახურის წარმომადგენლებს უკანასკნელი ჯებირი მოეხსნათ, რომელიც ხელს უშლიდათ, მეწარმე აშკარად თუ ფარულად დაეჩაგრათ.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ბოლო „მუხრუჭიც“ „გაუფუჭდათ“. ეს, კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ ფისკალური ორგანოს ამა თუ იმ მოხელეს აღარა აქვს იმის შიში, რომ მეწარმისადმი არაკეთილსინდისიერი, ანდა, გნებავთ, არასწორი მიდგომის გამო იგი შეიძლება სამსახურიდან გაათავისუფლონ, ან სულაც დაატუსაღონ. ასეთ მოხელეს უწინ ჰქონდა ერთი ძალიან სერიოზული პრევენცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მისი შეცდომის გამო შეიძლებოდა ბიუჯეტი დაზარალებულიყო. **არადა, ახალ საგადასახადო კოდექსში ეს უმნიშვნელოვანესი მომენტიც აღარ არსებობს.**

ახლა მეწარმე ათასგვარი ახალი ჟურნალისა თუ ფორმის, ფაქტურის შევსებისა და წარმოების მოვალეა და ეს მაშინ, როცა თავად სამეწარმეო საქმიანობა ძალიან მკაცრი ადმინისტრირების პირობებში აღმოჩნდა. თუმცა მინდა გითხრათ, მთლად ისე ნუ გამიგებთ, თითქოსდა ახლა მეწარმე სადღაც „კუთხეშია“ მომწყვდეული, მაგრამ, ვიმეორებ, ის თანაფარდობა, რომელიც წინა, ასეთი „მძიმე“ საგადასახადო კოდექსის პირობებში არსებობდა, „შემსუბუქებულის“ ამოქმედების შემდეგ აშკარად დარღვეულია.

### „კასკადური“ კოდექსი

– გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ. საქმე ის გახლავთ, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში დუალიზმების მთელი კასკადია. მათი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალ კანონში ლამის ყოველ აბზაცში ნახავთ ისეთ დებულებებს თუ განმარტებებს, რომლებიც მეწარმეს თავისებურად ესმის, ფისკალური ორგანოს წარმომადგენელს კი – კარდინალურად განსხვავებულად. **და ამ სრულიად აბსურდულ ვითარებაში არათუ არ არსებობს არბიტრი, რომელიც მათ შორის მტყუან-მართალს გაარკვევდეს, არამედ იურიდიული ძალის მქონე განმარტების მიცემის უფლებაც კი მთელ ეკონომიკურ სივრცეში არსებულ არც ერთ უწყებას არა აქვს!** ანუ რომელიმე მეწარმეს იმის გარკვევა რომ დასჭირდეს, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი, რომელიც ფისკალურ სისტემას ეხება, **გარდა სასამართლოსი არ არსებობს საქართველოში უწყება, რომელიც მას კვალიფიციურ განმარტებას მისცემდეს. ბიზნესმენისთვის კი ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს?!**

### კოქტეილ-კოდექსი

– ახალი საგადასახადო კოდექსის პირობებში მეწარმეთა მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, საოლქო საგადასახადო ინსპექციაში მას ერთ განმარტებას აძლევენ, ცენტრალურში – სხვას.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ბიზნესმენთა ფედერაციამ ახალი საგადასახადო კოდექსის „გაქართულებისთვის“ სოლიდური ხარჯი გასწია, ვინაიდან **უწინდელს, უბრალოდ, ვერ ვკითხულობდით,** ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო კოდექსების ერთგვარ „კოქტეილს“ წარმოადგენდა. თუმცა ახლაც იგივე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით: მართალია, თავად კოდექსი ტერმინოლოგიურად გაქართულდა, მაგრამ შინაარსით, ფაქტობრივად, „უცხო“ დარჩა.

***– მაშასადამე, მისი ერთი და იგივე დებულებების სხვადასხვა ინტერპრეტირებისგან არც მოსამართლეები არიან დაზღვეულნი?***

– ცხადია! თუმცა აქვე იმასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ბიზნესმენთა ფედერაცია დიდად მადლობელი და კმაყოფილია ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა, რომლის წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებიან მეწარმეებს და კონკრეტულ საკითხებზე განმარტებებს აძლევენ.

საერთოდაც მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგია, როცა ხელისუფლებაში მაინც არიან ადამიანები, რომლებიც თვითკრიტიკულად უდგებიან არა მარტო თავიანთ საქმიანობას, არამედ იმ კანონებსაც, რომელთა შესაბამისად უწევთ მუშაობა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ გულნატკენი კაცის წერილი

# ისევ „თამაშგარე“ მდგომარეობაში?!

**ძვირფასო რედაქცია! 2001 წლის ივნისში დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით. საქართველოს კანონის თანახმად, ორდენის კავალრებს, ორდენთან ერთად ეძლევათ ერთჯერადი ფულადი პრემია, რომლის შესახებაც მიმდინარე წლის 7 მარტს განცხადებით მივმართე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. მინისტრის მოადგილის ბატონ გ. გობეჯიშვილის ხელმოწერით მივიღე სრულიად არაორდინარული, ობიექტურ არგუმენტაციას მოკლებული პასუხი, რომელსაც ჩემ შენიშვნებთან ერთად გიგზავნით გაზეთში გამოსაქვეყნებლად.**



მინისტრის მოადგილის პასუხი შეიცავს დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის (და არა მხოლოდ მათთვის) შეურაცხმყოფელ მოტივაციას, რომლის მსგავსი, სამწუხაროდ, არაერთხელ მოგვისმენია.

უკმაყოფილების გრძნობა და გაუგებრობა გამოიწვია პასუხის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მოყვანილმა არგუმენტებმა, რომლებიც ვერავითარ ლოგიკას ვერ პასუხობს.

ჯერ ერთი, როგორ შეიძლებოდა ქვეყნის პარლამენტს მიეღო ასეთი უგუნური დადგენილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთჯერადი პრემია უნდა გაეცათ მხოლოდ მათზე, ვინც ჯილდო 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ მიიღო. კი, მაგრამ, რა დააშავეს მათ, ვინც იგივე ჯილდო 2003 წლამდე მიიღეს? საინტერესოა, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა პარლამენტი, როდესაც ასეთ აბსურდულ დადგენილებას ღებულობდა? თუმცა, ჩვენი პარლამენტისთვის მსგავსი ნონსენსები უცხო არ არის!

მეორე – სანამ უნდა ბოგინობდეს ყალბი და საღ გონებას მოკლებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფაშისტების წინააღმდეგ საქართველოდან გაწვეული 700 ათასი მებრძოლი იცავდა სხვა ქვეყანას – რუსეთს და არა ჩვენს სამშობლოს? ამ უაზრო შეხედულებების მომხრეებს ვეკითხები: აბა, ვის ვიცავდით იმ ჯოჯოხეთურ ომში, თუ არა საქართველოს ტერიტორიას?

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ეპიზოდი ჩემი საბრძოლო მოღვაწეობიდან. 1942 წლის დეკემბერში, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ხანმოკლე სამხედრო მომზადების შემდეგ, გაგვიწვიეს ჯარში. 17 წლის უწვერულვაშო ბიჭებმა სამტრედიის სადგურში, სადაც 3 დღეს ველოდებოდით სოხუმში მიმავალ მატარებელს, ფიცი დავდეთ: „მშვიდობით სამტრედია, აწი ვერ გნახავთ, დავიხოცებით, მაგრამ ფაშისტებს აქ არ მოვუშვებთ...“ სოხუმში ჩასვლისთანავე გაგვანაწილეს მოქმედი ჯარის ნაწილებში და პირდაპირ ჩავებით ბრძოლებში. ვინც დიდი სამამულო ომის ისტორია და გეოგრაფია იცის, მათ კარგად მოეხსენებათ, რომ 1942-1943 წლის ზამთარში კავკასიისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო გააფთრებული ბრძოლები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოხუმიდან სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით წარმოებდა.

ყოველივე ამის შემდეგ, ვეკითხებით გონებადაბინდულ ადამიანებს, იმ ბრძოლების მონაწილეთა მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის არ იბრძოდნენ? განა ეს ჩვენი, ომში დაღუპული თუ ცოცხლად გადარჩენილი მებრძოლების შეურაცხყოფა და შეგინება არ არის?

ვის და რისთვის სჭირდება ასეთი ინსინუაციების გავრცელება? ომი ომია და მისი რაიმე ნიშნით განსხვავება არ შეიძლება. ამდენად, ბატონ გ. გობეჯიშვილის პასუხის არგუმენტაცია ყალბი და რეალობას მოკლებულია.

აღნიშნული პრემია წელს რომ არ მოგვცეს, ეს არ არის მთავარი. გულისმომკვლელია ის მცდარი, საკმაოდ ფესვგადგმული შეურაცხყოფა, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველად არ მოვიაზრებით. ნუთუ, ფინანსთა სამინისტროში სხვა არგუმენტი ვერ გამონახეს ჩვენთვის უარის სათქმელად?

ეს მცდარი პასუხი შეიძლება ურეაგირებოდაც დაგვეტოვებინა, იგი გამონაკლისი რომ იყოს. ომის ვეტერანების მიმართ ასეთი გამოხდომები წესად იქცა, რითაც ამ ხანდაზმულ და სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილ ადამიანებს სრულიად დაუმსახურებლად ბევრჯერ გვატკინეს გული. ყოველივე ამას, სანამ ცოცხლები ვართ, ხომ უნდა დაესვას წერტილი?

როგორც მინისტრის მოადგილის პასუხიდან ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორდენზე ამ ერთჯერად პრემიას ალბათ ჩვენც მივიღებთ, მაგრამ როდის? როცა სააქაოს არ ვიქნებით? იმ ომის მონაწილე ყველა ვეტერანი დღეს ხომ 80 წელს გადაცილებულია? ოდესღაც ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამ ცინიზმს?

ნუთუ, სირცხვილი არ გაწუხებთ, ბატონებო?!

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი.**

**მოქალაქე: შოთა ბუაძეს**
**მცხოვრები: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-3 კვ. მე-18 კორპ. ბ. 6.**

**თქვენს 2005 წლის 7 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2005 წლის განმავლობაში სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთჯერადი ფულადი პრემიები გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც:**

**ა) დაჯილდოვდნენ 2003 წლის 1 იანვრიდან;**

**ბ) მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლებში, დაჯილდოების პერიოდის მიუხედავად;**

**გ) დაჯილდოვდნენ სიკვდილის შემდეგ.**

**სხვა დანარჩენ შემთხვევაში სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთჯერადი ფულადი პრემიების გაცემა 2005 წლის განმავლობაში არ არის გათვალისწინებული.**

**ვინაიდან თქვენს მიერ მიღებული ჯილდო არ განეკუთვნება „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ კატეგორიებს, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემის შესაძლებლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წელს მოკლებულია.**

**გრიგოლ გობეჯიშვილი,**
**მინისტრის მოადგილე.**

◎ ინფორმაცია

## ვინ იქნება საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი?

**როგორც „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა, ივლისში ოფისს ხელმძღვანელი აუცილებლად ეყოლება.**

**იგი ჯერჯერობით თავს იკავებს კონკრეტული კანდიდატურების დასახელებისაგან და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანდიდატურების შერჩევა.**

**საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ყოფილი ხელმძღვანელი რომან გოცირიძე გასულ წელს პარლამენტის დეპუტატი გახდა.**

## მუშახელის დიდი დეფიციტი შეგვექმნება

**საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია და რესურსების შესწავლის კავკასიური ცენტრი აპირებს საქართველოს პარლამენტს „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ“ თავისი შენიშვნები გაუგზავნოს. ამის თაობაზე ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ ჯიბუტმა გუშინ სასტუმრო „თორში“ გამართულ სემინარზე განაცხადა.**

**შენიშვნები, ძირითადად, ეკონომიკური საკითხებისადმი ზერელე მიდგომას ეხება, ამ დოკუმენტის თითქმის სამი მეოთხედი თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობების საკითხებს უკავია.**

**მიხეილ ჯიბუტის განცხადებით, „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ უგულებელყოფილია ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, როგორიცაა ნაციონალური იდენტიფიკაცია. და ეს მაშინ, როცა საქართველოდან ემიგრირებულ ადამიანთა რიცხვი მილიონს აღწევს. 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაშიც კი, ჩვენ მუშახელის დიდი დეფიციტი შეგვექმნება. რომელი ქვეყნის მოქალაქეები ჩაენაცვლებიან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ქართველებს, არავინ იცის. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ მთელ რიგ რეგიონებში მიწები აუთვისებელია, – განაცხადა მან.**

**შენიშვნებში ფიგურირებდა დოკუმენტის ავტორთა მიერ სოციალური უსაფრთხოების საკითხებისა და განათლების მნიშვნელობის იგნორირებაც.**

## ახალწვეულებმა ფიცი დადეს



**თავდაცვის სამინისტროს მე-4 ქვეითთა ბრიგადაში 11 ივნისს ახალწვეულთა ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა. სამშობლოსა და ერის წინაშე ფიცი 420-მა ახალწვეულმა დადო.**

**საზეიმო ცერემონიას, რომელიც ყოფილი მე-8 პოლკის ტერიტორიაზე გაიმართა, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, ბრიგადის მეთაური როინ გეგიაძე და ახალწვეულთა ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.**

## პუტინს მისალოცი წერილი გაუგზავნეს



**აფხაზეთის თვითადიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ულოცავს.**

**„აფხაზი ხალხი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისკენ ისწრაფვის. სწორედ ასეთი კავშირი იქნება ჩვენი რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ აღორძინების გარანტი“, – აღნიშნულია მისალოც წერილში.**

**ანალოგიური შინაარსის წერილით ვლადიმერ პუტინს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერმა ედუარდ კოკოითმაც მიმართა.**

**შეგახსენებთ, რომ დეკლარაცია „რუსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ“ მოსკოვში 1990 წლის 12 ივნისს მიიღეს.**

## ევროპული რეკლამის ფესტივალი საქართველოში გაიმართება

**ულტრაჯგუფი ევროპული რეკლამის ფესტივალს, „ეპიკას დღეები თბილისში“, ივლისის დასაწყისში წარმოადგენს.**

**პროექტი თბილისის მერიის პატრონაჟით და საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.**

**ფესტივალის ორგანიზატორი ეპიკა ევორდსის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, კომპანია ულტრაჯგუფის დამფუძნებელი მიხო ქოჩაკიძეა.**

**პრესლანჩი ჟურნალისტებისთვის დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად 17 ივლისს 13 საათზე მსოფლიო სპორტის კაფეში გაიმართება.**

**„ჯი-ეიჩ-ენი“.**

◎ რეპლიკა

# მოსკოვ-ქალაქს რა გინდოდა...

## გამოაცხადებს ისტორია ანტრაქტს და გაიხედავ, ვინღა არ მიძვრება სცენაზე

**ეს დღეებია, საქართველოში, სწორედ რომ, ასეთი ანტრაქტია. სტიქია, ამდენი უბედურება რომ მოგვიტანა, როგორც იქნა, ჩაცხრა. ბაზებიდან რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანა უხმაუროდ მიმდინარეობს. მწყობრში ჩადგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენი, ხელისუფლებაც და პარლამენტიც მშვიდ ვითარებაში განაგრძობენ მუშაობას. მოკლედ, პოლიტიკური ამინდის ბარომეტრი შტილს უჩვენებს.** და ამ დროს მოულოდნელად



ვრცელდება ცნობა: მოსკოვის საზოგადოებრივი პროექტირების ინსტიტუტის (სხვა წყაროებით, ეს ინსტიტუტი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულია) ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის მიღმა დარჩენილი ოპოზიცია.

ვინ არიან ისინი? პროექტირების ინსტიტუტის მიერ მოძიებული და შეკოწიწებული პოლიტიკური „ბომონდი“: ვახტანგ გოგუაძე, აკაკი ასათიანი, ირაკლი ბათიაშვილი, ბორის კაკუბავა, ალექსანდრე ჭაჭია, კონსტანტინე გამსახურდია და სხვანი.

რუსების მხრიდან მრგვალ მაგიდას, როგორც ამბობენ, სიხარულით შემოსხდომიან დუმის დეპუტატები (გეცნაურათ, ვინც იქნებოდნენ?), პოლიტოლოგები, ექსპერტები...

თურმე, ნუ იტყვით და, „მედიანიუსის“ ცნობით, საქართველოს ხელისუფლებას თანაბრად აკრიტიკებდნენ (ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ლანძღავდნენ, ათრევდნენ...) ისინიც და ესენიც – რუსეთელი მტრებიც და ჩვენებური მოყვრებიც. ერთ-ერთი მასპინძელთაგანი, ვინმე სერგეი მარკოვი ისე შესულა ექსტაზში საქართველოს ლანძღვაში, რომ ჩვენი სტუმრებისთვის ლექციაც კი წაუკითხეს იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი ისტორიულად არც არასოდეს ყოფილა საქართველოს ტერიტორია და ქართული ისტორიული გადმოცემები ყალბიაო. რუსების მოწყობილი მრგვალი მაგიდა რის მრგვალი მაგიდაა, რომ ანტიქართული ისტერიით არ დასრულებულიყო?!

როგორ უნდა ელანძღათ მრგვალ მაგიდაზე ჩვენი ქვეყანა, რომ პირგამშრალი ირაკლი ბათიაშვილიც კი ამდგარა და თანამოაზრეთა შეკრება მიუტოვებია.

აბა, რა გეგონათ, ჩემო ხეკაკუნა პოლიტიკოსებო, რუსები რა, საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების გეგმის გასაცნობად დაგიძახებდნენ?!

ბათიაშვილი კი წამოსულა, მაგრამ სხვები?

სხვები დარჩნენ „სათათბიროდ“ და ყლაპავდნენ დამცირებას და შეურაცხყოფას იმის იმედით, რომ თუ საქართველოში ხელისუფლება რამენაირად შეიცვლება, შეიძლება მათ ფოჩიანი კანფეტები ან ტემლაკებიც კი დაურიგონ.

ეს უსახური მრგვალი მაგიდა ქართველების მონაწილეობით, ჩვენი ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, სილის გაწნაა, თორემ მე, პირადად, არც ამ მთავრობაზე მეკეტება ტვინი და არც ამ ვაჟაბატონებისდროინდელ ხელისუფლებაზე, როცა ერთნი კანონებს ილებდნენ, მეორენი კი ამ კანონებზე ფეხებს იწმენდნენ. ჩემი ქვეყანა მეცოდება, ათასგზის გაყიდულ-შერყვნილი და სულ მუდამ პირში ჩალაგამოვლებული.

**გურამ პავლიაშვილი.**

◎ პოლიტიკური მიმოხრის ენა

# მოუსმინე, მაგრამ... პირი მოკუმე



**პოლიტიკოსები არა მარტო თავად საუბრობენ, არამედ სხვათა საუბრებსაც უსმენენ. ამიტომ მან, ვინც სიტყვით გამოდის, აუცილებლად უნდა აკონტროლოს აუდიტორია. სწორედ აუდიტორიის განწყობის ზუსტი დიაგნოზის დასმით შეიძლება ორატორის წარმატების თუ ჩავარდნის განჭვრეტაც. განწყობა კი ნათლად გამოჩნდება დარბაზში მსხდომთა პოზებისა და მიმიკების წყალობით. თუ დამსწრენი გისმენენ გაფაციცებული თვალებითა და დაცქვეტილი ყურებით, – კარგია, მაგრამ თუ ისინი თვლემენ და თქვენს სიტყვებსაც კილომეტრზე იცილებენ, ესე იგი, საქმე ცუდად მიდის, ესე იგი მსმენელებს დაეუფლათ დაურწმუნებლობის, რეალური ფაქტების ერთგვარი გადაჭარბების, სულაც, ტრაბახისა და ბაქი-ბუქის წინათგრძნობა, რომელიც საერთოდ ანგრევს პიროვნების იმიჯს. მაშასადამე, საჭიროა შემოტრიალება 180 გრადუსით, თორემ... კატასტროფა არ აგცდებათ.**

### რატომ იფარებენ ხელს?

ძირითადად პირზე ხელს იფარებენ იმ დროს, როცა გამომსვლელი ტყუის. ორატორს უსმენენ, უსმენენ და ბოლოს პირზე თითს ან მთლად ხელს იფარებენ. ამით თითქოს თავს ძალას ატან, – დამაჯერებლად კი ლაპარაკობს, მაგრამ მთლად სანდოდ არაო. ამიტომ ცოტა სიფრთხილე გამოვიჩინოთო!

ფართოდაა ცნობილი ასეთი გამოთქმა : – ტუჩები სისულელეს არ სჩადიან, ისინი ყოველთვის მართლები არიან! თუ თქვენ იყიდით, ვთქვათ, საუკეთესო ტახტს, თუ თქვენ შეჭამთ საუკეთესო ხილს, თუ თქვენ წაიკითხავთ საუკეთესო წიგნებს ან თუ თქვენ წარმოთქვამთ საუკეთესო სიტყვებს, ტუჩები აუცილებლად გამოამჟღავნებენ თქვენი ელიტური, უნიკალური ქცევის ნიშნებს.

რახან ტუჩები ასეთი მგრძნობიარენი, ასეთი მეტყველნი არიან, ამიტომ მათთან თითით შეხებაც, უფრო მეტიც, მთელი ხელით დაფარვა, მეტყველებს ადამიანის ინტერესზე მის ირგვლივ მიმდინარე მომენტის შესახებ. ვთქვათ, სიტყვით გამომსვლელის წინადადება მაცდუნებელია. მაინც ფიქრობ, – რა ვქნა? რა გადაწყვეტილება მივიღო? რისკიც კეთილშობილური საქმეა, მაგრამ წაგებას ვინ გაპატიებს? და ვიდრე საბოლოო, სწორ ვარიანტს მიაგნებ, შეიძლება ტუჩები მოიჭყლიტო კი არა, ხელით მთელი პირიც იღრძო.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ხელით პირის დაფარვა ძალიან უყვართ ვლადიმერ ჟირინოვსკის, ბილ გეიტსს, ჯორჯ სოროსს, ვლადიმერ პუტინს, ჩვენს ფოტოზე აღბეჭდილ გერჰარდ შრედერს და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსსა და მილიარდერს, რომლებიც სხვათა მოსმენისას ხშირად სვამენ კითხვას, – ვაითუ რამე მოხდეს?

**ზონდო გულიაშვილი.**

# მიწების პაიპარად გაყიდვა ქვეყნის ღალატის ტოლფასია

## ნივთი და საქონელი არ არის, ხელაღებით რომ გასხვისდეს...

### ამბობს პარლამენტარი იგორ პატარიძე

**მიწა გამორჩეული ფენომენია, ღვთის ქმნილება და ღვთისაგან ნაბოძებია. ამიტომაც ქართველებს მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. ვუწოდებთ „დედა-მიწას", „მამულს", „მიწა-წყალს"... ვიცით, რომ მიწას უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.**

**„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" კანონპროექტზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პარლამენტარს, უმრავლესობის წევრს იგორ პატარიძეს.**

***— ბატონო იგორ, რატომ არ მოგწონთ მიწის პრივატიზების კანონპროექტი?***

— კრიტიკას ვერ უძლებს და იმიტომ, არ ეფუძნება საყოველთაოდ მიღებულ და აუცილებელ მიწის შეფასებას, ხარისხობრივ, სამართლებრივ შეფასებას, ინვენტარიზაციას, საზღვრების დადგენას და ა.შ. პრივატიზაცია არ გულისხმობს ხელებით მიწების დარიგებას, თუნდაც გაყიდვას, ეს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის მექანიზმია, გზაა. [illegible]

***— რა დაუშვებელია მიწების განაწილებისას?***

— მიწის ასეთი განაწილება ჩვენთვისაც რაციონალური იქნებოდა, მაგრამ დღეს ეს გართულებულია, რადგან წინა ხელისუფლებამ მიწა-წყალი უკვე გასცა იჯარით ყოფილ მაღალჩინოსნებზე, თანაც — შესყიდვის უპირატესი უფლებით.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, მიწის გაყიდული განსაზღვრული ოდენობით, თითოეულ ფერმერზე 5-8 ათასი ჰექტარიც კი, რაც, ვფიქრობ,



დანაშაულია და უნდა აღიკვეთოს. 50-100 ჰექტარზე მეტი ფართის მფლობელის ვინაობა უნდა გაირკვეს და მისთვის მიწის გამოყოფის კანონიერებაც დადგინდეს.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ არის აუცილებელი სახელმწიფო საკუთრებაში მიწების გარკვეული რაოდენობით შენარჩუნება?***

— პრივატიზაცია მთელი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას არ გულისხმობს. ბევრ ქვეყანაში მიწები, რომელთა პროდუქტიულობის ამაღლებისა და მელიორაციისთვის სახელმწიფომ სახსრები გაიღო, კერძო საკუთრებაში არ გადადის. მაგალითად, ჰოლანდიაში ზეიდერზეეს ყურეს დაშრობის შედეგად მიღებული მიწები სახელმწიფო საკუთრებაშია. იგი არ იყიდება, მხოლოდ სარგებლობაში გადაეცემა განსაზღვრული დროით.

საქართველოშიც სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს ის მიწები, რომელთა მელიორაციისთვის სახელმწიფომ დიდძალი ხარჯები გაიღო. იგივე ითქმის საძოვრებზე, საქონლის გადასარეკ ტერიტორიებზე და ა.შ. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს, აგრეთვე, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, კულტურული ფასეულობის მქონე მიწები.

ბოლო დროს წარმოქმნილმა სტიქიურმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველო ამ მხრივ საშიში რეგიონია და აუცილებელია ქვეყანაში შიდა მიგრაციების განხორციელება. ამ მიზნით საჭიროა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს ტერიტორია, რომელიც კერძო საკუთრებაში არ გადავა. ასეთ მიწებს საზღვარგარეთის კანონმდებლობა შიდასახელმწიფოებრივი კოლონიზაციის მიწებს უწოდებს. ასევე მნიშვნელოვანია მიწის პრივატიზება ცალკეული რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით განხორციელდეს. მსოფლიოს უმრავლესი განვითარებული ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფო უნდა იყოს.

***— ბატონო იგორ, როგორ აწესრიგებს საზღვარგარეთის კანონმდებლობა მიწის საკუთრების სამართლებრივ მხარეს?***

— მიწის განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიური დანიშნულება მიწის საკუთრების საგანგებო სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მიწის საკუთრება, სხვა კანონებისგან განსხვავებით, უფრო „საყოველთაო ინტერესებს — სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებაროს, ვიდრე ბაზრის სტიქიას და ცალკეულ პირთა შეხედულებებს". სწორედ ამიტომ გერმანელებმა სასოფლო-სამეურნეო კოდექსში მიწა არ შეიტანეს, რადგან იგი ჩვეულებრივი ნივთი, საგანი ან საქონელი არ არის. დაახლოებით იგივეს გულისხმობს მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, საფრანგეთის, ევროპის ზოგი ქვეყნის კანონმდებლობაც.

***— თქვენ ახსენეთ, რომ გრძელვადიანი იჯარით შესყიდვის უპირატესი უფლებით ათასობით ჰექტარი მიწა გადაეცათ ყოფილ მაღალჩინოსნებს...***

— ეს გაუგონარი და უპრეცედენტო ფაქტია. ისინი რამდენიმე წელია, მოსავალსაც ვერ იღებენ. ზოგიერთმა მათგანმა 10-15 ათასი ჰექტარი მიწა შემოაკავა და იქ ნადირობაც კი აუკრძალა თანასოფლელებს, რაც ფეოდალიზმის ხანაშიც არ ხდებოდა. ამის დაკანონებამ საქართველო შესაძლოა ახალი დაპირისპირების ობიექტად აქციოს.

ამ მხრივ, ურიგო არ იქნებოდა ევროპაში ქონების, მათ შორის უზუფრუქტის წესით მიწის გადაცემის გავრცელებული გამოცდილების გათვალისწინება, რისი მიხედვითაც პიროვნებას უფლება ეძლევა დადგენილი განსაზღვრული დროით — 99 წლამდეც გამოიყენოს სახელმწიფო მიწა.

განსაკუთრებით სოფლად დაბრუნებულ ახალგაზრდებს უნდა შევუწყოთ ხელი, გამოვუყოთ მათ გრძელვადიანი სესხები, მოვამარაგოთ ახალი, ან მეორადი მანქანა-იარაღებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს ფერმერული და სასაქონლო-გლეხური მეურნეობები. ყველამ ვიცით, რომ ამერიკის პრეზიდენტებმა გადაარჩინეს ფერმერები და ფერმერებმა კი — ამერიკის შეერთებული შტატები სასურსათო კატასტროფისგან. დღესაც ამერიკელ ფერმერებს სახელმწიფო სერიოზულად ეხმარება, რადგან ეს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

***— თქვენ ეთანხმებით ზოგიერთი თანამდებობის პირის მოსაზრებას, რომელთაც მიუღებლად არ მიაჩნიათ უცხოელებზე, გნებავთ საქართველოში რეგისტრირებულ უცხოელ იურიდიულ პირებზე ჩვენი მიწა-წყლის მიყიდვა?***

— უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა სეპარატიზმის მსხვერპლია და, ნებსით თუ უნებლიეთ, დღესაც ხელს ვუწყობთ ამ უბედურების გაღვივებას. ამიტომ უცხოელებზე, თუნდაც საქართველოში რეგისტრირებულ უცხოელ იურიდიულ პირებზე ჩვენი მიწა-წყლის მიყიდვა დაუშვებელია.

წინაპართა უილაჯობის გამო, საქართველოდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელ, ფრანგ, რუს, სომეხ, თათარ და სხვა მრავალ უცხოელ კაპიტალისტს დიდძალი კაპიტალი გაჰქონდა.

სხვათა შორის, საქართველოს 1921 წლის დევნილ მთავრობას ემიგრაციაში ლევილის მამული პირდაპირ ვერ შეუძენია და საფრანგეთის მოქალაქე ბენია ჩიკვაიძეზე გაუფორმებია, რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ფრანგები მიწას არასაფრანგეთის მოქალაქეებზე არ ყიდდნენ.

ამრიგად, მიწების უინვენტარიზაციოდ, უკადასტროდ, საზღვრების დაუდგენლად, სამართლებრივი ბაზის მოუწესრიგებლად, მიწის კოდექსის დაუხვეწავად და მიუღებლად საქართველოში მიწის პრივატიზება დაუშვებელია. შემოთავაზებული კანონი მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები, როცა ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

# სად გადის ჩვენი საზღვარი?

**ამ რამდენიმე დღის წინათ საქმეზე გარდაბანში, ქვეყნის საზღვრისპირა სოფელ ვახტანგისში მოვხვდი. ეს ძირძველი ქართული სოფელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. დღეს იქ ათიოდე ქართული ოჯახი ცხოვრობს.**

**არადა, აქაური მიწა ღვთით კურთხეული, მადლიან-ბარაქიანია, წელიწადში 2-3 მოსავალი მოჰყავთ, არც სარწყავი წყალი აკლია და არც სხვა სიკეთე.**

საქმე მოვითავე თუ არა, ჩემი ძველი ნაცნობის — სოსო ირემაშვილის ჭიშკარს მივადექი. მასპინძელმა უზომოდ გაიხარა, შინ მიმიწვია. სუფრასთან ორნი ვჯახირობდით, მე და მამედაო. მამედ ჯანგიროვსაც კარგად ვიცნობდი. სუფრა მართლაც გახალისდა.

სამი თუ ოთხი ჭიქა დავცალე და მასპინძელმა უცებ მომახალა, მართალია საზღვრებს რომ ყიდიანო?

— საზღვრებს არა, მაგრამ მიწებს კი, ბენდუქიძემ განაცხადა, თუ არ გავყიდეთ, დავიღუპებითო, მერე ბოკერიამაც თავი გადაიკლა, სხვებიც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.



— მერე, მიწა და საზღვარი ჩვენთან ვინ გაყო, ასე არ არის, მამედ? — მიუტრიალდა თავის ყონაღს.

— ეტყობა, ეგენი საზღვრებთან მწყრალად არიან, — მამედა ქართულადაც მშვენივრად საუბრობს, — მოვიდეს, ჩემს ეზოს დავათვალიერებინებ, ჩემი ღობის იქით ხომ აზერბაიჯანი იწყება. — შენც არ მოგწონს ეგ კანონი? - შევეჭვდი და შევყოყმანდი.

— ჩემი პაპა აზერბაიჯანიდან გადმოსახლდა, მე საქართველოში მინდა ცხოვრება... გლეხი კაცი ვარ და საზღვრის მოდარაჯედ ვერ გამოვდგები... ისე ეს კანონი თუ მიიღეს, მალე გარდაბანიც აზერბაიჯანში აღმოჩნდება და იმის იქითა ტერიტორიებიც...

საუბარი ამ თემაზე დიდხანს გაგვიგრძელდა, მე კი დიდად ჩამაფიქრა მათმა ნათქვამმა. მართლაც, ვახტანგისი აზერბაიჯანისგან პატარა ზოლით არის გამოყოფილი. იქითაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და აქეთაც, იმ ათიოდე ქართულ ოჯახს თუ არ მივიღებთ სათვალავში. მასპინძლებს ისიც ვერ გაუგიათ, შემოღობილ ეზოებში მესაზღვრეები როგორ ივლიან, თუ ეს საზღვრები მაინც ძველ ადგილზე დარჩაო.

ღვთის რისხვაა თუ რა, არ ვიცი, მაგრამ საქართველოს შადიმანები, ორჯონიკიძეები, ახალი რუსეთუმეები არ ელევიან და განუკითხავად ჰყიდიან ქვეყანას.

ამან ერთი ამბავიც გამახსენა.

ოციოდე წლის წინათ, მაშინ საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიო კომიტეტში ვმუშაობდი რუსთავის ზონის კორესპონდენტად. ხელმძღვანელობისგან სასწრაფო დავალება მივიღე, მარნეულში ჩადი, სასაზღვრო სოფელ ახკერპის ქართულ ეკლესიას ეშმაკები უპირებენ დაპატრონებას, რა ხდება, შეისწავლე და მწვავე სიუჟეტი მოამზადეო.

მარნეულში ხშირად დავდიოდი, მაგრამ არც ახკერპი გამეგონა და არც ჰუჯაბი. რაიკომიდან ინსტრუქტორი გამაყოლეს და... თავი წალკოტში ამოვყავი!

ჰუჯაბი მართლაც შესანიშნავი ტაძარი აუშენებიათ ჩვენს წინაპრებს. ადგილობრივმა სომხებმა, იქ ქართველი საერთოდ აღარ ცხოვრობს, თბილად მიმიღეს. ეკლესიაში ვიღაც ვიგინდარის მიერ შემოგდებული სომხურწარწერიანი ქვაც მაჩვენეს. ეს ქართული ეკლესიააო, მერე ორმოცდაათიოდე მეტრის იქით მავთულბადით შემოღობილზე მიმითითეს, ეს სომხეთ-საქართველოს საზღვარიაო.

— კი მაგრამ, ჩვენს წინაპრებს ზედ საზღვართან სალოცავის აშენება რაში დასჭირდათ-მეთქი, — გაოცება ვერ დავმალე.

მასპინძელთაგან უხუცესმა (იქ ქართული არ იციან, რუსულად ვსაუბრობდით) ხელი გამომდო, გამიყოლია. იქ შესანიშნავი ხევია. თან ულამაზესი მთები იწყება, ჰოდა, კარგად რომ გავიმანძილეთ, გული გადამიშალა:

— აქედან ლამის სამი ათეული კილომეტრი ქართული მიწებია, ჯერ კიდევ, მენშევიკებს რომ ეძახდნენ, იმათ დროს საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრის დადგენის საკითხი დამდგარა. ორივე ქვეყანამ გამოჰყო თურმე სპეციალური კომისია. შეხვედრის ადგილად ჩვენი სოფელი დაუნიშნავთ, რადგან ახლომახლო სხვა დასახლებული პუნქტი არც მაშინ იყო.

სომხეთის დელეგაცია ოპერატიულად ჩამოსულა.

თბილისიდან წამოსულთ გზად სამწვადეში თუ სადღაც დასანაყრებლად შეუვლიათ, მერე შეჰყოლიან.

სომხეთის დელეგაცია ელოდა, ელოდა, რომ შეღამებულა, გაბრაზებულან, ამდგარან, ჰუჯაბიდან ორმოცდაათი ნაბიჯი გადაუზომიათ და სასაზღვრო ნიშანი იქ დაუსვამთ, უფრო აქეთ იმიტომ ვერ გადმოსწიეს, რადგან ეკლესია ქართულია და არ გამოვაო.

მას შემდეგ საქართველოს მთავრობას აქაურობისთვის არ მოუკითხავს.

კომუნისტების დროს ბევრი ვიჩივლეთ, მაგრამ რა, აბა ეს საქმეა? იქ არც საძოვარზე უშვებენ ჩვენს საქონელს, არც შეშას გვაჭრევინებენ, არადა, ის ხომ ჩვენი მიწაა...

ეს ამბავი ყველა ახკერპელმა სომეხმა იცოდა. მაშინაც აწუხებდათ, რა თქმა უნდა, სოფელს საძოვრები და ტყე ადარდებდა. მთხოვეს, იქნებ ხელისუფლებას შეეხმიანო, ჩვენი გასაჭირი მიაწვდინოო.

ისტორია დღესაც მეორდება.

ვაი შენ, ჩემო საქართველოვ, როდემდე უნდა გპატრონობდნენ სხვა ერის შვილები, ასეთი განუკითხაობა სად გაგონილა?

როგორც გარდაბანში, მარნეულში, დმანისში, ისე მთელ გაყოლებაზე ქართული საზღვრისპირა სოფლები ქართველთა სამკვიდრებელია.

ჰოდა, როგორ მოვიქცეთ, ბატონებო, ხომ არ მივცეთ მათ ავტომატები, დავუნიშნოთ ხელფასები და მივანდოთ ჩვენი საზღვრები?

მერე საზღვარი თბილისში, ზედ ფონიჭალამდე რომ მოვა?..

**გივი ჯახუა,**
**მწერალი.**

# ჩვენი დღევანდელი დიდგორი

**„... რა არის სამშობლო? თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება — ეს არის სამშობლო. კიდევ? კიდევ: ძაღლი, ხბო, წიწილა, ურემი, ნაჯახი, მიწა — ხელში რომ აიღებ და ძირს დაყრა გენანება, ის მიწაა..." მაშინვე ნოდარ დუმბაძის**



**ეს სიტყვები გამახსენდა, როცა კალამი მოვიმარჯვე. აგერ, უკვე მერამდენედ ვწერ იმ მიწაზე, რომლის გასხვისებასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ „ეროვნული" ხელისუფლების მესვეურები. მე წერილების ბეჭდვა არ მეზარება, იმათ — დუმილი. საუბედუროდ, იმდენი ძალაუფლება მოიგდეს ხელში, შესაძლოა, ამ დუმილითაც კი მაჯობონ. არადა, მეტი რა ქნას ჟურნალისტმა, რომლის ყველაზე „მძიმე არტილერია" მხოლოდ კალამი და ქაღალდია?**

მაღალ-მაღალი ჩინოსნები გარეთ უფრო ხშირად არიან, ვიდრე კოხტად მორთულ-მოკაზმულ კაბინეტებში, მაგრამ... **ვითომ ხალხში გასულები „ვერ" ხედავენ, წყალსა და მეწყერს როგორ მიაქვს რაჭა-ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი, აჭარა, კახეთი, სვანეთი, როგორ შესტირიან ცასა და მიწას უსახლკაროდ დარჩენილები. სამაგიეროდ, ზარზეიმით მიდის გამსვლელი სხდომები ხან ქობულეთში, ხან — ბორჯომში და ხან — გუდაურში.** ვაკოხტავებთ თბილისის იმ ქუჩებსა და მოედნებს, სადაც უცხოელმა დიდმა სტუმარმა გავლა უნდა ინებოს, სამაგიეროდ, ისევ წუმპეში იხრჩობა დედაქალაქის მრავალი უბანი. ის დალოცვილი პოტიომკინი ისეთი რა ხვითო ბრძანდებოდა, ამდენი მიმდევარი დღესაც რომ არ დაელია?!

ღმერთმა იცის, რამდენი მწარე რეპლიკა და კორესპონდენცია დაიბეჭდა მასმედიაში სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწების პრივატიზების შესახებ კანონპროექტზე. არ ვარგა, დამღუპველია — ერთხმად აცხადებენ ეკონომისტები, ისტორიკოსები, მწერლები, მეცნიერები, მაგრამ მავანსა და მავანს არა და არ სურს ყურიდან ბამბის გამოღება.

სოფელში მკითხეს, რა ისეთი ყოვლისმცოდნეა ბატონი კახა ბენდუქიძე, ყველას მაგიერ რომ ჭრის და კერავს, ნუთუ არ მოეხსენება, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ ერთ მილიონ ეკომიგრანტს ერთი ამდენი კიდევ მიემატება? მაშინ, ვისთვის უნდა „ახალი საქართველო"? მიწაზე ძვირფასი კაცს არაფერი გააჩნია, და ისიც, როგორც „ბიბლია გვასწავლის, უფლისაა.

**თუ პარლამენტარები კვლავ ყურს მოიყრუებენ, პრეზიდენტის იმედად (?!) ვრჩებით — მას შეუძლია „ვეტოს" უფლების გამოყენება. შეუძლია, მაგრამ გამოიყენებს? მოსახლეობის ერთ ნაწილს კიდევ სჯერა პრეზიდენტისა. გაუფრთხილდით თქვენს ავტორიტეტს, ბატონო მიხეილ, თორემ, შესაძლოა, „თითზე კბენანი" მერე გვიანი იყოს...**

გავიხსენოთ, როგორ იბრძოდნენ სულკურთხეული ილია და მისი თანამოაზრეები სომხურ-მევახშური კაპიტალის წინააღმდეგ და რა ძვირი დაგვიჯდა საზოგადოების დუმილი. დღესაც იგივე სცენარი ხომ არ მეორდება? ხშირად გვიყვარს უცხოეთისკენ თითის გაშვერა — იქ ასე არისო. **გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწა ამოიღო სასამართლო კოდექსიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება.** საზღვრისპირა ზოლს თუ გავყიდით, კერძო მეპატრონე უკეთესად დაიცავსო, გვმოძღვრავს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე. **ქართველ გლეხს ჯიბეში გროშიც არ უჭყავის და, ვინ იქნება იმ მიწების მყიდველი, ბატონო კახა?**

აი, ჩამოვიდა შარონი და გადაიხადა უზარმაზარი თანხა, მაშინ პარლამენტარმა როზა ლორთქიფანიძემ ხმამაღლა თქვა, ებრაელებს ქართულ მიწაზე პრეტენზია არასოდეს ჰქონიათ, გამოჩნდა შარონი და გამოჩნდა პრეტენზიაცო. სხვათა შორის, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თვით ებრაელებმა თავიანთი ისტორიული მიწა-წყალი ნასყიდობის სიგელ-გუჯრების მეშვეობით დაიბრუნეს და ისე შექმნეს ისრაელის სახელმწიფო. ეგ იმათ შესძლეს, თორემ, ჩვენ, რომ დაგვჭირდეს, შევძლებთ კი?

ჰოლანდიაში საკუთარ მიწაზე ფერმერმა ახალი ნაკელი რომ გაიტანოს, პასუხისგებაში მისცემენ!

თუ სადმე სამართალია, კანონპროექტი საჯარო განხილვისათვის უნდა გამოეტანათ. რატომ დაგვიმალეს? ზოგი აცხადებს, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არისო. არსებობს კი მიწის საკითხზე უფრო დიდი პოლიტიკა? მიწის გაყიდვა ქვეყნის ეკონომიკის განადგურებას დააჩქარებსო, — გაჰყვირიან ეკონომისტები. ბატონი კახა ბენდუქიძე კი საპირისპიროს გვიმტკიცებს.

როდესაც ამას წინათ მწერალთა სასახლეში მიწის საკითხებს იხილავდნენ, ველოდი, რომ ეკონომიკური განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მუშაკებიც გამოვიდოდნენ. ვაი რომ, ერთი კინკილა ჩინოვნიკიც არ მობრძანებულა!

ისტორია არ ივიწყებს გმირებს, მაგრამ ისტორია არც მოღალატეებს ივიწყებს! მოვა დრო და მოსაკითხს მოეკითხება.

და მწარედაც.

ჩვენს ინტერესებს ჩვენზე უკეთესად ვერავინ დაიცავს. ოღონდ — ხელი ხელს მივცეთ და გული — გულს.

გახსოვთ, დიდგორის ომის წინ როგორ მიმართა თავის მცირერიცხოვან სპას დავით აღმაშენებელმა: **„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევარსა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ".**

**და დაამარცხეს.**

**დიდგორი ერთსულოვნებამ მოგვაგებინა.**

**დღეს ჩვენი დიდგორი ქართული მიწაა!!!**

**ელგუჯა ლეჟავა.**

# ერთად ვიმსჯელოთ და ერთად გადავწყვიტოთ!

**საქართველოსთვის, ქართველი კაცისა და, საერთოდ, საქართველოს მოქალაქეთათვის მიწის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მოძრაობა „წინ, საქართველოს" მთავარმა კომიტეტმა გამართა კონფერენცია „სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები და დარგის წამყვანი სპეციალისტები; გათვალისწინებულ იქნა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები, მრავალი ქვეყნის გამოცდილება.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — **სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის პრივატიზაციის კანონის მიღება არ შეიძლება მანამ, სანამ არ გადაწყდება სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობა (არ დადგინდება რაიონებსა და სოფლებს შორის საზღვრები); სანამ არ ჩატარდება დეგრადირებული მიწების რეაბილიტაცია, საერთოდ, მიწის ინვენტარიზაცია და კადასტრი; არ იქნება მიღებული მიწის კოდექსი; არ დამკვიდრდება მიწის „მემკვიდრეობითი ქირავნობის" (ილია ჭავჭავაძე) და იჯარის უფლების გაყიდვის პრინციპი, არ განისაზღვრება სარეზერვო მიწის ფონდი, არ შეიქმნება სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო პირობები** და სხვა. თავის დროზე ანალოგიური ღონისძიებები განახორციელეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და დღეისთვის წარმატებული სხვა ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „წინ, საქართველოს" მთავარ კომიტეტს დაევალა მივმართოთ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს განსაკუთრებული თხოვნით, ყველაფერი იღონოს მიწის პრივატიზაციის კანონის მიღების პროცესის შეჩერებისთვის, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ვეტოს უფლება, მით უმეტეს, რომ კანონპროექტი ხელისუფლების მიერ არ გამოქვეყნებულა საჯარო განხილვისათვის; პოზიცია არ გამოუხატავთ მეცნიერებსა და დარგის წამყვან სპეციალისტებს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, უპირველესად მიწის ნამდვილ მეპატრონეს — გლეხობას; არ ჩატარებულა რეფერენდუმი.

ამასთან ერთად, ვეყრდნობით რა ბატონი პრეზიდენტის საჯარო განცხადებას, ორ კაცსაც რომ ჰქონდეს მისგან განსხვავებული მოსაზრება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, მათ შეხვედება. დარწმუნებული ვართ, მიიღებს წინადადებას „თავისუფალი აზრის დარბაზთან" (მისი წევრები არიან მეცნიერების, კულტურის, განათლების ცნობილი მოღვაწეები, ეკონომისტები, იურისტები, სტუდენტობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები) პირდაპირი სატელევიზიო ეთერით შეხვედრის თაობაზე. ვფიქრობთ, საქმისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება და არავის ღირსებას არ შელახავს მისი ან კანონპროექტის ავტორების სატელევიზიო ღია შეხვედრა „წინ, საქართველოს" მთავარი კომიტეტის წევრებთან. ასევე სასურველია, მოვაწყოთ საზოგადოებასთან შეხვედრა ფილარმონიის დიდ დარბაზში. ჩვენ მხარს დავუჭერდით ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი მიძღვნილ თავისუფალ შეხვედრას თავისუფლების მოედანზეც. ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთივე ღია შეხვედრებია საჭირო გლეხობასთან, ფერმერებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან კახეთში, ქართლში, აჭარაში, სამეგრელოში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში. დარწმუნებული ვართ, არც პრეზიდენტს ეპარება ეჭვი, რომ სწორი არ იქნება ამ საკითხის გადაწყვეტა ქართველი მეცნიერების აზრის გაუთვალისწინებლად. ამ შეხვედრას მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მონაწილეებთან მთელი საქართველო ნახავდა ტელევიზიით.



იმედია, პრეზიდენტიც იზიარებს პოზიციას, რომ სწორედ ასეთი ერთსულოვნებით უნდა გადაწყდეს ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრის — მიწის საკითხი. ქვეყანა იქნება ბედნიერი, თუ მიწის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება კი არ გაამწვავებს ქვეყნის შიგნით დაპირისპირებას, არამედ გააერთიანებს დაპირისპირებულ ძალებს და ჯგუფებს, ქვეყანას საერთოდ.

სწორედ ამ დიდი ქართული განწყობით იწერებოდა ეს წერილიც.

**მოძრაობა „წინ, საქართველოს" მთავარი კომიტეტის წევრები:**
**მამუკა არეშიძე, ირაკლი ბათიაშვილი, მალხაზ გულაშვილი, გიორგი კობახიძე, ჰამლეტ მელაძე, მაია ნიკოლეიშვილი, ნუგზარ სამხარაძე, ზაზა სიამაშვილი, ნუკრი ქანთარია, მიხეილ ქურდიანი, თეიმურაზ შაშიაშვილი, პაატა ცნობილაძე, დავით ჭეიშვილი, მერაბ ჯიბლაძე.**

◎ **ინფორმაცია**

## ყაჯარულმა ფერწერამ დიდი ინტერესი გამოიწვია

**ყაჯარული ხელოვნების ნიმუშთა გამოფენამ, რომელიც შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში 5 ივნისს გაიხსნა, დამთვალიერებელთა უდიდესი დაინტერესება გამოიწვია.**

**დამთვალიერებელთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ მუზეუმის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ექსპოზიცია სულ ცოტა ერთი კვირით გაახანგრძლივოს.**

**აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ირინა კოშორიძემ „ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა: „გვჯეროდა, რომ ექსპოზიცია წარმატებული იქნებოდა, მაგრამ ასეთ დაინტერესებას მაინც არ ველოდით.**

**მოგვიწია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებამ ბავშვებისთვის, რადგან პატარა დამთვალიერებელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. თბილისის უამრავი სკოლა ეწვია მუზეუმს. ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ისლამური და კერძოდ ყაჯარული კულტურა".**

**რაც შეეხება კვირეულის სამეცნიერო ნაწილს, კონფერენციები და შეხვედრები გუშინ დასრულდა.**

## გამოფენა „ღია ცის ქვეშ"

**გუშინ გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში (მუზეუმი ღია ცის ქვეშ) XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში გურული მხედრების მოგზაურობის ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნა.**

**პროგრამა საბავშვო თამაშებით დაიწყო. გამოფენის ორგანიზატორებმა ბავშვებს ათამდე თამაში შესთავაზეს. ამის შემდეგ საჯირითო ჩოხებში გამოწყობილმა მხედრებმა მარულა გამართეს.**

**გახსნა მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „რუსთავმა", ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.**

**აშშ-ში გურულთა „გასტროლების" ამსახველი ფოტოგამოფენა (დაახ. 40 ფოტო) ზაფხულის ბოლომდე „ღია ცის ქვეშ" დაბინავდება.**

**მედია-ნიუსი.**

## განცხადება

2005 წლის 1 ივლისს, 15 საათზე დ. ვაზიანში შედგება სს „ვაზიანი-2000"-ის აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2000 წლის შედეგების საფინანსო-სამეურნეო ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
3. დირექტორის ანგარიში;
4. ინფორმაცია 2004 წლის შედეგების აუდიტორულ შემოწმებაზე;
5. 2005 წლის ბიზნესგეგმის დამტკიცება.

**ადმინისტრაცია.**

კონტაქტები

# ფრანც ლეხლაიტნერი ქართულ ჩანაწერებს გააცოცხლებს

**ავსტრიელი სპეციალისტი ფრანც ლეხლაიტნერი საქართველოში პირველად იმყოფება და მისი ვიზიტი მეტად საპატიო მისიის შესრულებას ემსახურება. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიოში უძველესი ფონოგრამარქივის წარმომადგენლის მიზანი ლილვაკებზე (ფონოგრაფზე) ჩაწერილ ძველ ქართულ მრავალხმიან სიმღერების ჩანაწერების თანამედროვე დისკებზე გადაწერა და შესაბამისად, მათი გადარჩენა.**



ცნობისთვის: ავსტრიის ფონოგრამარქივი ასეთი ტიპის პირველი არქივია მსოფლიოში. უდიდესი მუსიკალური ტრადიციების მქონე ვენაში იგი 1899 წელს დაარსდა. საინტერესოა, რომ ამ დროს ედისონის ცილინდრის ფონოგრაფი სულ რაღაც 9 წლისა იყო. იგი ედისონმა 1890 წელს გამოიგონა.

ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია, რომლის ბაზაზე შეიქმნა ფონოგრამარქივი, გაცილებით ადრე, 1847 წელს დაარსდა. ფონოგრამარქივის მიზანი ხმოვანი ჩანაწერების არქივის შექმნაა. ამასთან, არქივში მოხვედრილი სიმღერების დეტალური მუსიკალური და ფონეტიკური ანალიზიც ხდება.

ფონოგრამარქივი მუსიკალური ჩანაწერების შეგროვებაზე, გადაწერასა და შესწავლაზე არის ორიენტირებული. რაც შეეხება გადაწერას, ისინი ისტორიული ჩანაწერების თანამედროვე დისკებზე გადატანას უახლესი ტექნიკის გამოყენებით ახორციელებენ.

ლეხლაიტნერი საქართველოს კონსერვატორიას სტუმრობს, სადაც ძველი ჩანაწერების მდგომარეობას ერთი კვირის განმავლობაში გაეცნობა, შემდეგ კი ავსტრიაში ფონოგრამარქივის დირექტორს — დიტერ შულერს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს, რის საფუძველზეც ერთობლივი პროექტის განხორციელებას ჩაეყრება საფუძველი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: თბილისის კონსერვატორიის ხელმძღვანელობა დიდხანს ეძებდა გზებს საქართველოში დაცული ჩანაწერების თანამედროვე დისკებზე გადასატანად. ამ საქმეში მათ აქტიურად ეხმარებოდა ჩვენი კონსერვატორიის კურსდამთავრებული, მუსიკათმცოდნე ნონა ლომიძე, რომელიც ამჟამად ავსტრიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. სწორედ მან დააინტერესა ავსტრიული მხარე ძველი ქართული სიმღერებით. ამის შემდეგ მოხვდა საქართველოში ბატონი ლეხლაიტნერი, რომელიც ქართველი ხალხითა და ჩვენი ქვეყნით აღფრთოვანებას ვერ მალავს.

ავსტრიელ სტუმარს, რომელიც ძალიან სასიამოვნო და გულღია მოსაუბრე აღმოჩნდა, თბილისის კონსერვატორიის პრორექტორის, რუსუდან წურწუმიას კაბინეტში შევხვდით.

**— თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენს შესახებ.**

— ვმუშაობ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ფონოგრამარქივში. პროფესიით ინჟინერი ვარ. [illegible] და. ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გავიცანი ფონოგრამარქივის უფროსი დიტერ შულერი. მასთან 1973 წლიდან ვთანამშრომლობ. 2005 წლიდან ფონოგრამარქივის კონსულტანტად ვმუშაობ.

**— ვინ გამოიწვია თქვენი დაინტერესება ქართული სიმღერებით?**

— ყველაფრის ინიციატორი გახლდათ ქალბატონი ნონა ლომიძე, ქართველი მუსიკათმცოდნე, რომელიც ავსტრიაში ცხოვრობს. სწორედ მან მოაწყო 2004 წლის ზაფხულში საქართველოში ფონოგრამარქივის პრეზენტაცია. ნონამ ორი ცილინდრი ვენაში ჩამოიტანა და ქართული სიმღერები იქ გავშიფრეთ. მან საქართველოთი და მისი მუსიკალური კულტურით თავისი მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი მოიდემაიერი დააინტერესა, რომელიც მრავალხმიან სიმღერებს იკვლევს. პირადად მე ნონა ლომიძე ჩემი მეუღლის დახმარებით დამიკავშირდა, რომელიც მისი კოლეგაა — მუსიკათმცოდნე. ფონოგრამარქივის დირექტორმა ქართული ჩანაწერების მოსმენის შემდეგ სპეციალისტის საქართველოში გაგზავნა გადაწყვიტა და არჩევანი ჩემზე შეჩერდა.

**— უფრო კონკრეტულად, მომავალ პროექტზე რას გვეტყვით?**

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს პროექტისკენ. ვენის ფონოგრამარქივის ხელმძღვანელობას საქართველოში ნანახი ცილინდრების ანგარიშს წარვუდგენ, რის შემდეგაც ვადები და დაფინანსების საკითხი გაირკვევა. პირველი 30 ცილინდრი კონსერვატორიაში უნდა ვნახო, შემდეგ ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმსა და თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმში შენახულ ცილინდრებსაც გავეცნობი. კონსერვატორიასთან არსებული შეთანხმებით, რომელმაც მომიწვია, უნდა შევამოწ- [illegible] მო ყველა ის კოლექცია, რომელიც ცილინდრებზეა ჩაწერილი. თუ ცილინდრები ბრწყინვალე მდგომარეობაში აღმოჩნდა, დღეში 30-ის გადაწერა გახდება შესაძლებელი. რაც შეეხება დაზიანებებს, შეიძლება იყოს მრავალგვარი, ამოტეხვა, დაცვეთა, მიკრობები და ა. შ.

**— პროექტს ვინ დააფინანსებს?**

— სამომავლოდ დაფინანსების რამდენიმე წყარო იქნება. პირველ რიგში, ავსტრიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიები. ჩემი ამჟამინდელი მივლინება ვენის ფონოგრამარქივმა დააფინანსა.

**— როგორ წარიმართება თქვენი თანამშრომლობა თბილისის კონსერვატორიასთან?**

— ვვარაუდობ, რომ ჩვენი თანამშრობლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. კონსერვატორიის ხელმძღვანელობასთან საუბრისას გაირკვა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება თბილისში უცხოელი სპეციალისტების ჩამოსვლა და ჩანაწერების ადგილზე განახლება. რა თქმა უნდა, ეს გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე მთელი კოლექციის ტრასპორტირება ავსტრიაში.

**— ესე იგი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, თუ სად მოხდება გადაწერა, საქართველოში თუ ავსტრიაში?**

— ამ ეტაპზე არა. კარგი იქნება, თუ შესაძლებელი გახდება ექსპერტების (ცილინდრების სპეციალისტებს ვგულისხმობ) საქართველოში ჩამოსვლა. როგორც უკვე ვთქვი, ეს უფრო იაფიც დაჯდება და ნაკლებ დროსაც წაიღებს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ განხორციელდა საქართველოში, რესტავრაცია ავსტრიაში ჩატარდება. ამისთვის კი ქართული მხარის ოფიციალური თანხმობა გახდება საჭირო ცილინდრების გატანაზე, რასაც დამატებითი დრო და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაც დასჭირდება. პროექტის დასრულების შემდეგ ავსტრიაში შეეძლებათ გაეცნონ ჩანაწერებს, მაგრამ ქართული მხარის თანხმობის გარეშე მათი გამოქვეყნება არ იქნება შესაძლებელი.

**— როდის აპირებთ პროექტის დაწყებას?**

— როგორც კი ანგარიშს წარვადგენ, პროექტის დაწყების კონკრეტულ დეტალებზე მას შემდეგ დაიწყება საუბარი. ამ ეტაპზე არც პროექტის ხანგრძლივობაზე შემიძლია რაიმე მოგახსენოთ. ყველაფერს მომავალი გადაწყვეტს.

**— თუ გეგმავთ კვლავ ჩამოსვლას თბილისში?**

— ძალიან მოვიხიბლე საქართველოთი და თქვენი სტუმართმოყვარეობით. კვლავ ჩამოსვლას რაც შეეხება, ესეც პროექტის ფარგლებში უნდა გადაწყდეს.

* * *

ბატონ ფრანცთან საუბრის შემდეგ მის უშუალო მასპინძელს, საქართველოს კონსერვატორიის პრორექტორს, ქალბატონ **რუსუდან წურწუმიას** გავესაუბრეთ:

— ქართული უნიკალური პოლიფონიის შესახებ ძალიან ბევრი თქმულა და დაწერილა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი ფოლკლორისტების ოცნების საგანი იყო, როგორმე აექღერებინათ 20-30-იან წლებში ლილვაკებზე ჩაწერილი მასალა. საუბარია ფონოგრაფით ჩაწერილ მასალაზე. [illegible] ლიძე ცდილობდნენ. მათ დახმარებისთვის ადგილობრივ ფიზიკოსებსაც მიმართეს, რომელთაც თქვეს, რომ ამისთვის საჭირო აპარატურის შექმნას დიდ თანხა დასჭირდებოდა. ამასთანავე, ჩვენ ვეძებდით სპეციალისტს, რომელსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება ექნებოდა. ამიტომ შარშან ნოემბერში მივმართეთ ვენის ფონოგრამარქივის დირექტორს ბატონ დიტერ შულერს და შევთავაზეთ, რომ თუ დაინტერესდებოდა ქართული კოლექციით, ჩვენთან ეთანამშრომლა. მოითხოვეს გვეცნობებინა, თუ სად ინახება კოლექცია. მოვიძიეთ სახელმწიფო არქივში, თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმში, ასევე ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში და ჩვენთან, კონსერვატორიაში. უნდა იყოს ბატონ გრიგოლ ჩხიკვაძესთანაც, რაც ჯერ ვერ მოვიძიეთ. ბატონ შულერს ჯერ თვითონ უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ბოლოს ბატონ ლეხლაიტნერი გამოაგზავნა. ჩვენს კოლექციაში შედის 1910-20 და 30-იანი წლების ჩანაწერები. ეს ის პერიოდია, ვიდრე ჩაწერა ფონოგრაფით მიმდინარეობდა. სხვათა შორის, გუშინ ბატონმა ლეხლაიტნერმა კონსერვატორიაში არსებული ჩანაწერების ნაწილი ნახა (ჩვენთან სულ 54 ერთეული ინახება) და დაასკვნა, რომ მათგან ბევრი საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. ბატონი ლეხლაიტნერი თავის ჟურნალში ყველაფერს გერმანული სიზუსტით აღნუსხავს. ჩვენ აქტიურად გვეხმარება ავსტრიაში მცხოვრები ქალბატონი ნონა ლომიძე. ჩვენ ნონას დახმარებით გავაგზავნეთ ორი ლილვაკი ავსტრიაში. ბატონმა ლეხლაიტნერმა თბილისში ჩამოიტანა CD-ზე ჩაწერილი გაშიფრული ჩანაწერები და ერთ-ერთ მათგანზე აღმოჩნდა გერმანული სიმღერა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კოლექცია ბევრ მოულოდნელობას შეიცავს. ჩვენ არც კი ვიცით, რა არის ჩაწერილი. ბატონი ლეხლაიტნერი ვარაუდობს, რომ ამ მომღერლისთვის გერმანული მშობლიური ენა არ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, იგი გერმანიაში მოხვედრილი ქართველი ტყვეც იყოს. ჩვენი პოზიცია ასეთი იყო, თუ ვენის ფონოგრამარქივი ჩვენს ჩანაწერებს გადაარჩენდა, თითო ეგზემპლარს მათ გადავცემდით, რაც არქივისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საქართველოსთვის ძალიან დიდი საქმეა. ეს არის ჩვენი ისტორიის გაცოცხლება და დაბრუნება.

ჩვენ ამ დღეებში გვექნება შეხვედრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილესთან, ბატონ ნიკა ვაჩეიშვილთან და ამ შეხვედრაზე გაირკვევა, მიიღებს თუ არა პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობას სახელმწიფო. ლეხლაიტნერი ჩვენი აპარატურითაც დაინტერესდა. იუნესკოს დახმარებით შეძენილი აპარატურა ფოლკლორისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრში გვაქვს. სტუმარი კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, რომ ამ აპარატურით მუშაობა შეიძლება. იმედი გვაქვს, რომ იუნესკო მომავალშიც დაგვეხმარება. ახლა კონსერვატორიაში იუნესკოს სამწლიანი პროგრამა ხორციელდება და შესაძლოა, ჩვენი ავსტრიელი მეგობრები ამ პროექტშიც ჩაერთონ.

**ნანა ნიკოლაიშვილი.**

**სურათზე: ფრანც ლეხლაიტნერი.**

**ავტორის ფოტო.**

ახალი სიო

# პრეზიდენტი – ძე პრეზიდენტისა

**გუშინ სახელმწიფო კიდევ ერთ მსუყე სპორტულ ლუკმას დაეუფლა – ჭიდაობის ფედერაციის შემდეგ საზოგადოების მიერ ოფიციოზის ფავორიტად შერაცხული თავკაცი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ჩაუდგა სათავეში.**

ეს გახლავთ ნოდარ ახალკაცი – ძე დიდი ნოდარ ახალკაცისა, მამის მსგავსად გამორჩეული ინტელექტით შემკული 29 წლის ახალგაზრდა, ქვეყნის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების ყოფილი წევრი, საერთაშორისო სამართალში უცხოეთში განსწავლული, იქვე სტაჟირებაგავლილი და, რაც მთავარია, ქართულ საფეხბურთო სამზარეულოში სიყმაწვილიდანვე ღრმად ჩახედული – მოგეხსენებათ, იგი სახელოვანი მშობლისდროინდელ სფფ-ში საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტში მოღვაწეობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, უკონკურენტოდ დარჩენილი უმცროსი ნოდარ ახალკაცი თითქმის ერთხმად (თავი დაშლის პირას მისული „თბილისის" წარმომადგენელმა მამუკა გუგეშაშვილმა შეიკავა) აირჩიეს სფფ-ს მესამე პრეზიდენტად. სულ ფედერაციის IX, რიგგარეშე ყრილობის 58 დელეგატიდან სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გამართულ ფორუმს 57, მათ შორის 26-ხმოსანი დელეგატი დაესწრო. პრეზიდიუმს მოწვეული საპატიო სტუმრებიც ამშვენებდნენ – ფიფას გენერალური მდივნის მოადგილე ჟერომ შამპანი, ფიფას პროგრამა „გოლის" მენეჯერი ქალბატონი ევა პასკიე და უეფას აღმასკომის წევრი დოქტორი ჯოზეფ მიფსუდი, რომელიც მალტელი გახლავთ და ჩვენს რეგიონს კურატორობს. მან შეკრებილთ სიტყვითაც მიმართა და განაცხადა:

– მართალია, თქვენმა ფედერაციამ უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ პრობლემებმაც იჩინა თავი. ეს არ ეხება მიზნობრივი გრანტების ხარჯვის საქმეს, ამიტომ მომავალშიც გავაგრძელებთ სფფ-ს დაფინანსებას წელიწადში 250 000 შვეიცარიული ფრანკით. რადგან ზემოთ პრობლემები ვახსენე, დავძენ, რომ მას გვერდი ვერც სხვა ქვეყნებში აუარეს. მაგალითად, საქართველოში მე ჩეხეთიდან ჩამოვედი, სადაც ზედიზედ მეორედ ვერ შეძლეს იქაური ფედერაციის ხელმძღვანელის არჩევა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ თქვენთან არა პოლიციელთა, არამედ დამხმარეთა მისიით ჩამოვედით, ნოდარ ახალკაცს კი ბედს ვუსურვებთ (სიტყვა „ბედი" დოქტორმა მიფსუდმა რამდენჯერმე გაიმეორა. ჩვენც ვუერთდებით მას – **რედ.**).





ერთსაათიანმა ღონისძიებამ, ტრადიციისამებრ, კამათიც ჩაიტია, სადაც საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს რეგიონულ ფედერაციათა მესვეურებმა მურად ანჯაფარიძემ (აფხაზეთი), ალექსანდრე ახვლედიანმა (აჭარა), ვეტერანმა ფეხბურთელმა მიხეილ ჯოჯუამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გია გვაზავამ, სფფ-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ და პარლამენტარმა გია ნაცვლიშვილმა.

გუშინ სფფ-ს ახალი პრეზიდენტი მიკროფონთან ორჯერ მივიდა – ჯერ საპროგრამო სიტყვით, ხოლო შემდეგ არჩევისთანავე. ნოდარ ახალკაცმა ორივე გამოსვლა წმინდა ილია მართლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სტრიქონებით დაასრულა. წიგნიერი კაცისგან სიმბოლურად მომეჩვენა ეს...

**გია პლატონიშვილი.**

კრივი

# თვალქუშუნა გოგონებმა ხელთათმნები მოირგეს

**ამას წინათ ვარიანში საქართველოს მოკრივეთა ეროვნულ ჩემპიონატზე ქალებმაც მოსინჯეს რინგი, რაც ქართული კრივის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო.**

მართალი გითხრათ, კაცურ სპორტში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობის მომხრე არ ვართ, ამიტომ ზემოაღნიშნულმა ინფორმაციამ ძალიან დაგვაინტერესა და ორთაჭალაში კრივის დარბაზს მივაშურეთ დაკუნთული და უპეებჩალურჯებული მანდილოსნების სანახავად. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მწვრთნელმა დავით შაქარაშვილმა მოხდენილი თვალქუჟუნა გოგონები წარმოგვიდგინა — საქართველოს ჩემპიონები არიანო. ერთ-ერთ მათგანს — ლიანა მედოევას წვრილად დაწნული თმა ძალიან შვენოდა. ერთხანს იგი მოსკოვში ცხოვრობდა და „მის დიასპორაც" გახდა. თუმცა მალე მოდელობას თავი დაანება და დაცვის პოლიციაში დაიწყო მუშაობა. იმასაც ვერ შეეგუა და ბოლოს სპორტსმენობა არჩია. პირველი შეკითხვით სწორედ მას მივმართეთ.

— ცხინვალში დავიბადე და გავიზარდე, — გვითხრა ლიანამ. — ახლა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მეოთხეკურსელი ვარ. 9 თვეა, კრივში ვვარჯიშობ. მანამდე ტყვიის სროლით ვიყავი გატაცებული.

— მეც სპორტის რამდენიმე სახეობა გამოვიცვალე, — ჩაერია საუბარში ეთერ ქუმსიაშვილი. — მათ შორის — კალათბურთი და კიკბოქსინგი. კარგა ხანია, კრივზე დავდივარ. მგონია, რომ ჩემი მოწოდება ვიპოვე.

— მე კი დღემდე ორ მუზას — კრივსა და მძლეოსნობას ვემსახურები, — სიტყვა ჩამოართვა მეგობარს თამუნა ჩხუბიანიშვილმა.

**— კრივი მაინც კაცური სპორტია. მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ?**



**თამუნა ჩხუბიანიშვილი:** დედას არ ესიამოვნა, მაგრამ მამისა და ძმების აზრმა გადაწონა. სამი ძმა მყავს და სამივე ყოფილი სპორტსმენია.

**ეთერ ქუმსიაშვილი:** დედაჩემმაც, კრივი რა ქალის საქმეა, თვალებჩალურჯებულს რომ გნახავენ ქუჩაში, იფიქრებენ, ქმარმა ან შეყვარებულმა სცემაო, მითხრა. დედა სადღაც მართალია, მაგრამ რა ვქნა — მე ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ.

**ლიანა მედოევა:** მშობლებისა რა მოგახსენოთ, როცა შეყვარებულიც კი არ ეთანხმება ჩემს გადაწყვეტილებას. მეუბნება, კრივს თავი დაანებეო. ტყავის ხელთათმანებს მხოლოდ მაშინ შეველევი, როცა დიდი ჩემპიონი გავხდები.

**— კრივის ილეთები ქუჩაში თუ გამოგიყენებიათ?**

**თამუნა:** საამისოდ გვარი ხელს კი მიწყობს, მაგრამ დათო მასწავლებელმა აგვიკრძალა.

**ლიანა:** უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირობა ერთხელ დავარღვიე. შარშან საღამო ჟამს უცნობი ყმაწვილი ამედევნა. ვუთხარი, შემეშვი-მეთქი. უხეშად მომმართა. ვერ მოვითმინე და აპერკოტით „გავთიშე". ჩემი მოსაბრუნებელი გახდა.

**— ალბათ, სულ რინგზე ხართ და ვარჯიშობთ. თუმცა, გეტყობათ, რომ სარკისთვისაც პოულობთ დროს.**

**ეთერი:** სარკის წინ ტრიალი რომელ ქალს არ უყვარს?! არც ჩვენ ვართ გამონაკლისი.

**ლიანა:** დღეს, მაგალითად, თმის დაწვნას დიდ ხანს მოვუნდი, კინაღამ ვარჯიშზე დავაგვიანე. მინდა, ლამაზად გამოვიყურებოდე. მე ხომ მოდელი ვიყავი. ძალიან მიყვარს სარკე.

**— სამზარეულოც?**

**თამუნა:** შემიძლია ვთქვა, რომ მამას და 3 ძმას ვუვლი. კერძები საკმაოდ გემრიელი გამომდის.

**ეთერი:** მეც კარგ საჭმელებს ვამზადებ.

**ლიანა:** ჩემთვის ნამცხვრების ცხობა უდიდესი სიამოვნებაა. საერთოდ, ყველაფერი გვიყვარს და გვეხერხება, რაც ქალისთვის შესაფერისია. თუმცა, ყოფით საქმეებზე მეტად სპორტზე ვფიქრობთ. მარტო საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება არაფერს ნიშნავს. საერთაშორისო სარბიელზეც უნდა გამოვიჩინოთ თავი...

**— ქალთა კრივი საქართველოში ახლა იდგამს ფეხს. როგორ ფიქრობთ, მას გააჩნია მომავალი?** — ამ შეკითხვით გოგონების მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ბატონ **დავით შაქარაშვილს** მივმართეთ.

— ქართველი მანდილოსნები ოდითგანვე მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ, — გვითხრა მან. — „ცეხლს აფრქვევდა მათი ხმალი, მტერი თრთოდა, ვერაგი". ჰოდა, ჩვენც გვჯერა მათი შემართების. რამდენიმე წლის წინათ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველად ვნახე ქალთა კრივი. იქიდან ამეკვიატა, ჩვენთანაც დაგვენერგა იგი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როლანდ კვაჭაძისა და ახალგაზრდა პედაგოგის ჩინგიზ მურსაკგულოვის დახმარებით იდეას შარშან ფრთები შევასხი. კარგი გოგონები გვყავს. მერწმუნეთ, ისინი მალე გვასახელებენ...

დარბაზში გატარებულმა ერთმა საათმა უწინდელი შეხედულება შეგვაცვლევინა. უხმოდ დავეთანხმეთ ბატონ დავითს. თვალქუჟუნა მოკრივეების მორიგ გამარჯვებებს ჩვენც გულისფანცქალით დაველოდებით.

**ირმა ჯოხაძე,**
**ხათუნა სეზისკვერაძე.**

**სურათზე: სხედან — ეთერ ქუმსიაშვილი და მარიამ ქველაძე, დგანან — ჩინგიზ მურსაკგულოვი, თამუნა ჩხუბიანიშვილი, დავით შაქარაშვილი და ლიანა მედოევა.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

# პენტაგონი არ აპირებს კოსმოსის მილიტარიზაციას

**ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს კოსმოსის მშვიდობიან ათვისებას და არ განიხილავს იქ შეიარაღების განლაგების საკითხს, განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა სკოტ მაკლელანმა, რომელ-**



**საც ბრიფინგზე სთხოვეს გაეკეთებინა კომენტარი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებაზე. ივანოვმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ თუ ამერიკელები ეცდებიან კოსმოსის მილიტარიზაციას, რუსეთიც განახორციელებს ადეკვატურ ღონისძიებებს.**

„ჩემი აზრით, ივანოვის ეს განცხადება ეფუძნებოდა მცდარ ინფორმაციას, რომელიც არასწორად ასახავდა იმას, რაც სინამდვილეში ხდება", — თქვა მაკლელანმა.

როგორც თეთრი სახლის პრესმდივანმა აღნიშნა, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია მართლაც ახორციელებს კოსმოსის სფეროში თავისი პოლიტიკის ხელახალ შეფასებას, მაგრამ ეს დოკუმენტი ჯერ არ გასულა არც ეროვნული უშიშროების საკითხებში მრჩევლის, და არც თვით პრეზიდენტის დონეზე.

კოსმოსის სფეროში პოლიტიკის ხელახალი შეფასება დაიწყო ჯერ კიდევ ცხრა წლის წინათ და, ბუშის განკარგულებით, 2002 წლის ივნისიდან მიმდინარეობს საუწყებათშორისო დონეზე. სადღეისოდ ჯორჯ ბუშმა უკვე გამოსცა ოთხი დირექტივა ამ თემის შესახებ, თქვა პრესმდივანმა და დასძინა, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში „ჩვენ ვნახეთ დრამატული ცვლილებები, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო დონეზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს კოსმოსურ პოლიტიკაზე, და ამიტომაც მას სჭირდება გადასინჯვა".

„ჩვენ გვწამს კოსმოსის მშვიდობიანი გამოკვლევის. არსებობს შეთანხმებები, რომლებსაც ჩვენ მომავალშიც დავიცავთ", — განაცხადა მაკლელანმა და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომზადების სტადიაში მყოფ ამ დოკუმენტს არაფერი საერთო არა აქვს კოსმოსში შეიარაღების განლაგებასთან.

„ჩვენ არ განვიხილავთ კოსმოსის მილიტარიზაციის საკითხს, მაგრამ კოსმოსის მშვიდობიანი გამოკვლევა ითვალისწინებს იმასაც, რომ ნებისმიერ ქვეყანას უნდა შეეძლოს თავისი კოსმოსური სისტემების დაცვა", — თქვა დასასრულ პრეზიდენტ ბუშის პრესმდივანმა.

# მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის მიზნით

**მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული წამყანი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები შეიკრიბნენ ლონდონში, სადაც ისინი აპირებენ, გამონახონ კომპრომისი აფრიკის სახელმწიფოების ვალთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე.**

ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს „დიდი რვიანის" სამიტამდე ერთი თვით ადრე, რომელიც უნდა გაიმართოს შოტლანდიაში, და სადაც ჩასვლას აპირებს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი აქტივისტიც.

ბრიტანეთის ლიდერებმა უკვე განაცხადეს, რომ ამ პრობლემას განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ შოტლანდიის სამიტზე. მაგრამ ფინანსთა მინისტრებს მოუწევთ საკმაოდ სერიოზული საკითხების განხილვა, რომლის შედეგიც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ლონდონი და ვაშინგტონი აპირებენ, წარმოადგინონ აფრიკის 18 უღარიბესი ქვეყნის ვალების ჩამოწერის გეგმა, რომელთა საერთო თანხა 16,7 მილიარდ დოლარს შეადგენს.

აქტივისტები კი ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ფინანსთა მინისტრები დათანხმდნენ ყველა ღარიბი ქვეყნის ვალების შემსუბუქებას, და მოითხოვენ, რომ გაუზარდონ ფინანსური დახმარება ასეთ სახელმწიფოებს წელიწადში 100 მილიარდ დოლარამდე; გარდა ამისა, უნდა მოიხსნას სავაჭრო ბარიერები, რათა განვითარებადმა ქვეყნებმა შეძლონ შეღწევა მსოფლიო ბაზრებში.

როგორც პრესაში აღნიშნავდნენ, შეერთებული შტატები თანახმაა, რომ ვალების შემსუბუქების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებდეს ღარიბი სახელმწიფოების იმ ვალებსაც, რომლებიც მათ აიღეს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან, მაგალითად, მსოფლიო ბანკისგან. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების ჩამოწერისთვის ვაშინგტონი მზად არ არის. აქტივისტები გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ ბრიტანელთა და ამერიკელთა ინიციატივა ითვალისწინებს მხოლოდ 27 ღარიბ ქვეყანას, მაშინ, როცა, აქტივისტთა აზრით, შეთანხმებაში უნდა ფიგურირებდეს 62 სახელმწიფო, მათ შორის ისეთი დიდი მოვალე ქვეყნები, როგორიც არის ნიგერია და ინდონეზია.

საფრანგეთს, გერმანიას და იაპონიას ჯერჯერობით არ გამოუთქვამთ თანხმობა ვალების სრული ჩამოწერის შესახებ, ისინი სთავაზობენ მდიდარ ქვეყნებს, რომ დათანხმდნენ მხოლოდ ვალების მიხედვით პროცენტების გაუქმებას.



ჭადრაკი

# ნონას თასზე

**დამთავრდა ნონა გაფრინდაშვილის თასის ეგიდით გამართული რეიტინგ-ტურნირი, რომელშიც საქართველოს მოჭადრაკეებთან ერთად ორი ირანელიც მონაწილეობდა.** ბოლო ტურის წინ ერთბაშად რამდენიმე დიდოსტატსა და საერთაშორისო ოსტატს ჰქონდა მთავარი პრიზის მოპოვების შანსი. გადამწყვეტ პარტიაში დავით არუთინიანი თორნიკე სანიკიძეს დაუზავდა და 7 ქულით პირველობისთვის 1000 ლარი დაისაკუთრა (შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ქალთა შორის ერევნელმა ლილით მკრტჩიანმა გაიმარჯვა). ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს და შესაბამისად, II-VI ადგილები გიორგი ბაღათუროვმა, ბეგლარ ჯობავამ, ბაჩანა მორჩიაშვილმა, გიგა ყუფარაძემ და თორნიკე სანიკიძემ გაინაწილეს.

**გიორგი გაგუა.**

ანონსი

# დღეს ქუთაისში

**ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე დღეს ბოლო ტურის ბოლო მატჩი გაიმართება. ქუთაისში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჩეხეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. მატჩი 18 საათზე დაიწყება.**

შეგახსენებთ, რომ 4 ტურის შემდეგ 8 ქულით პორტუგალიის ნაკრები ერთპიროვნულად ლიდერობს. 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს რუმინეთისა და საქართველოს მორაგბეები იყოფენ. ჩეხეთი 4 ქულით მეოთხე ადგილზეა.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ტოკიოს ცათამბჯენში ზღვა გაიხსნა



**იაპონელებს ძალიან უყვართ ზღვა. რა გასაკვირია, თუ მათ ქვეყანას პირველი ადგილი უკავია აკვარიუმების რიცხვით, სასიცოცხლო სივრცის სიმკვრივეს თუ გავითვალისწინებთ. იაპონური ცათამბჯენების სახურავებზე განლაგებული აკვაცენტრების მოდა შედარებით გვიან გაჩნდა. იდეა ერთობ საინტერესო გამოდგა: მრავალი უცხოელი ტურისტი, ამომავალი მზის ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ ჩადის, რომ თავი ოკეანის ფსკერზე იგრძნოს უზარმაზარი ტოკიოს ცენტრში.**

იაპონიის დედაქალაქის ერთ-ერთ კულტურისა და საქმიანობის ცენტრს იკებუკუროს რაიონი წარმოადგენს. მის მთავარ ღირსშესანიშნაობად, ალბათ, ვეებერთელა საქმიანი კომპლექსი „Sunshine city" უნდა მივიჩნიოთ – ნამდვილი ქალაქი ქალაქში. კომპლექსის ერთ-ერთი შენობის სახურავზე მთელი ზოოპარკი განლაგდა, სადაც ფართობის უმეტესი ნაწილი ზღაპრული სილამაზის აკვარიუმს აქვს დათმობილი. მისი მინის თაღის ქვეშ გავლისას თავს კუსტოს ექსპედიციის მონაწილედ იგრძნობთ. აქ წარმოდგენილია მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილი რამდენიმე ათასი იშვიათი თევზი და წყალხმელეთა ცხოველი. დააცქერდით და დაინახავთ, თუ ხახადაღებული დიდრონი ზვიგენები როგორ ნთქავენ მათზე მომცრო თევზებს. საკმარისია ცოტა გადაინაცვლოთ და ფანჯრიდან შეგიძლიათ დიდხანს ტკბობა – ქვემოთ ტოკიოს ცხოვრებით. შორს კი, ნაცრისფერ თხელ ნისლში, ვულკან ფუძიამას კონუსი მიმალულა. მართლაც რომ საოცარი სანახაობაა...

### დიანა ღურწკაიას გვითხოვდება

**პოპულარული რუსეთელი მომღერლის, უსინათლო დიანა ღურწკაიას ეს მონოლოგი გაზეთმა „Собеседник"-მა გამოაქვეყნა (1-7 ივნისის ნომერი).**

– ჩემს ცხოვრებაში სასიხარულო ამბავი ხდება: ზაფხულში ვთხოვდები. ჩემი რჩეული ძალიან სერიოზული პროფესიის წარმომადგენელია. ერთმანეთი რამდენიმე წლის წინათ გაგვაცო ირინა ჰაკამადამ, მისმა თანაპარტიელმა.



ჩვენი ურთიერთობები ჯერ საქმიანი იყო, რომანტიკულში მერე გადაიზარდა. ერთხელ ხუმრობით ვუთხარი: „მომიწყვიტე ციდან ვარსკვლავი და ეგებ მაშინ შეგხვდე ხოლმე". გავეხუმრე და დავივიწყე. რაღაც დროის შემდეგ კი მეგობრებთან ერთად სავახშმოდ შევედი პატარა რესტორანში: მხიარული კომპანია, მყუდრო გარემო, რადიოდან მხიარული სიმღერები მოისმის. უცბად ეთერიდან იუწყებიან, რომ ასტრონომებმა ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინეს, რომელსაც მომღერალ დიანა ღურწკაიას სახელს უწოდებენ. თან ამ მომენტში უზარმაზარი ვარსკვლავისებური ტორტი შემოაქვთ. იქვე სერტიფიკატით გამოჩნდა ჩემი მეგობარი ვაჟი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ ვარსკვლავს ოფიციალურად მიეკუთვნა ჩემი სახელი! გული მომილბა. ეგეც შენი ხუმრობა... ახლა თითზე მიკეთია ბეჭედი, რომელიც ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია ამ ქვეყნად.

ამას წინათ მოსკოვში ჩეჩნეთის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ზიას" საღამო გაიმართა. პატარებთან მეც მივედი, ახალი სიმღერა „დაჭრილი ჩიტი" ვაჩუქე ბავშვებს და კულისებში ვაპირებდი გასვლას. სცენაზე მოულოდნელად ამოვიდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ალუ ალხანოვი და განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მომენიჭა. ეს გადაწყვეტილება პირადად ჩემი გამოსვლის დროს მიუღია.

ამჟამად რემონტს ვამთავრებ ახალ ბინაში. ჯერ არ გადავსულვარ, მაგრამ სართულის მეზობლებს უკვე გავეცანი – ცნობილ და საინტერესო ადამიანებს. დავგეგმეთ კიდევაც ერთობლივი ახალმოსახლობა.

# წერტილი უოტერგეიტის სკანდალთან?



**აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საიდუმლოება გაიხსნა. ცნობილი გახდა იმ კაცის სახელი, ვინც უდიდესი, ეგრეთ წოდებული უოტერგეიტის სკანდალის ინიცირება გამოიწვია. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" ადასტურებს, რომ ასეთ ამბამდე და პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გადადგომამდე მიმყვანი ინფორმაციის წყარო გახლდათ გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თანამშრომელი მარკ ფელტი.**

1974 წელს ნიქსონი იქცა ერთადერთ ამერიკელ პრეზიდენტად, რომელიც იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციური პარტიის ოფისებში სასმენი მოწყობილობების დაყენების უგერგილო ცდა ამ დანაშაულში თეთრი სახლის თანაზიარობის დაფარვის მიზნით მოწყობილ შეთქმულებად შემოტრიალდა; როცა სენატში მოსმენათა მსვლელობისას გამოირკვა, რომ საიდუმლო მაგნიტოფონური ჩანაწერები არსებობს, რომლებიც დაფარვაში ნიქსონის მონაწილეობას ადასტურებენ, პრეზიდენტმა გადადგომა ამჯობინა იმპიჩმენტს.

1970-იან წლებში „ვაშინგტონ პოსტის" მთავარი რედაქტორის თანამდებობა ბენჯამინ ბრედლის ეჭირა. გაზეთმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით გამოაქვეყნა პირველმა ის მასალები უოტერგეიტის სკანდალის გამოძიების შესახებ, რომლებმაც შემდგომ პრეზიდენტ ნიქსონის პოლიტიკური ფიასკო და სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დატოვება გამოიწვიეს.

ბრედლის თქმით, „კაცი „ნომერი ორი" გფბ-ში საკმაოდ კარგი წყაროა და მე ვიცოდი, რომ ჩვენი გაზეთი სწორ გზას ადგას, რამდენადაც დარწმუნებული ვიყავი წყაროს უტყუარობაში".

„ვაშინგტონ პოსტის" მიერ მარკ ფელტის დასახელებამდე, ამ უკანასკნელს თავისი ადვოკატის პირით გადაუცია ჟურნალისათვის Vanity Fair, რომ სწორედ მან მიაწოდა გაზეთის ჟურნალისტებს ინფორმაცია სასტუმრო „უოტერგეიტში" დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინის გატეხვაში თეთრი სახლის ხელის გარევის თაობაზე.

1972 წლის ივნისში, საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ოტელ „უოტერგეიტის" შენობის მეექვსე სართულზე უცნობმა ბოროტმოქმედებმა სასმენი მოწყობილობების დადგმა, აგრეთვე დემოკრატიული პარტიის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაღება და კოპირება სცადეს.

სკანდალის აგორება „ვაშინგტონ პოსტის" ორი ახალგაზრდა ჟურნალისტის ბობ ვუდვორდისა და კარლ ბერნსტაინის პატარა წერილით დაიწყო, რომელშიც ავტორები პირველნი იუწყებოდნენ მომხდარში თეთრი სახლის მეთაურის თანაზიარობის შესახებ. ინფორმაციის მთავარ წყაროდ მათთვის იქცა ადმინისტრაციის თანამშრომელი ფსევდონიმით „ღრმა ხახა" (ხმაჩახლეჩილი), რომელსაც ასე შეარქვეს 1970-იან წლებში გახმაურებული პორნოგრაფიული ფილმის მიხედვით. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ ეს ერთი პირი კი არა, კრებითი სახეა, თუმცა თვით ჟურნალისტების მტკიცებით, „ღრმა ხახა" რეალური ადამიანია.

ეს „რეალური კაცი" ფელტი ახლა 91 წლისაა და შვილებთან ერთად ცხოვრობს კალიფორნიის პატარა ქალაქში (სანტა-როზა). სიცოცხლის ბოლო წლებში რიჩარდ ნიქსონი თურმე არაერთგზის ახსენებდა მარკ ფელტის სახელს, როგორც „უოტერგეიტის საქმეში" ინფორმაციის შესაძლო წყაროსი. ეს ამ დღეებში განუცხადებია რ. ნიქსონის სახელობის ცენტრის დირექტორს დიმიტრი საიმსს ჟურნალ „Vanity Fair_"-ის სენსაციური შეტყობინების კომენტირებისას.

საიმსის მონათხრობით, ნიქსონისათვის უსიამოვნო უოტერგეიტის სკანდალის თემა, სკანდალისა, რომელსაც პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა, არაერთხელ ამოტივტივებულა მათი კერძო საუბრებისას. ნიქსონს, ისევე როგორც მრავალ უბრალო ამერიკელს, დიდხანს აწვალებდა ის კითხვა, თუ სახელდობრ ვინ „გააპარა" პრესაში ავბედითი ინფორმაცია. ეგეც კიაო, შენიშნავს პოლიტოლოგი საიმსი, რომელიც ახლოს იყო ექსპრეზიდენტთან მისი ცხოვრების დასასრულ, რომ ნიქსონი ასი პროცენტით არასოდეს ყოფილა დარწმუნებული გფბ-ს თანამშრომლის გამცემლობაში.

ნიქსონის ყოფილი მრჩეველი ჯონ დინი ამბობს, რომ მარკ ფელტის აღიარება შეკითხვას მეტს აჩენს, ვიდრე პასუხს იძლევა. მაგალითად, როგორ მოიპოვა მან გაზეთისათვის გადასაცემი ინფორმაციის გაცნობის უფლება, ან როგორ ნახულობდა დროს, იმჟამად გფბ-ს ოპერატიულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირი, რეპორტიორებთან გარაჟებში შესახვედრად და საიდუმლო გზავნილებათა დასატოვებლად (სხვათა შორის, დინის თავის დროზე ოთხი თვით პატიმრობა მიესაჯა ამ სკანდალში მონაწილეობისთვის).

ასეა თუ ისე, საიდუმლო, რომელიც ვაშინგტონს 30-ზე მეტ წელს აფორიაქებდა, ფარდაახდილად შეიძლება ჩაითვალოს.



## პრეზიდენტი კოცნის წინააღმდეგია

**ფილიპინების მეთაურმა, ქალბატონმა გლორია მაკაპაგალ აროიომ, ქვეყნის მამაკაცებს უჩვეულო თხოვნით მიმართა: შეწყვიტეთ ჩემი კოცნის ცდებიო.** ფილიპინური ჩვეულება ძლიერი სქესის წარმომადგენლებს უწესებს, ქალებთან შეხვედრისას, მათ დაჯილდოებას ორივე ლოყაზე კოცნით, ანუ, როგორც აქ ეს იწოდება, „ბესო-ბესოს" გაკეთებას.

57 წლის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ის კონსერვატული ქალია და ისურვებდა, რომ მხოლოდ ერთი მამაკაცი კოცნიდეს – საკუთარი ქმარი. ადგილობრივმა ტელევიზიამ სახელმწიფოს პირველი პირის მიმართვა პირდაპირ ეთერში გადასცა: „ქვეყნის ყველა მამაკაცმა მოისმინოს: თუ არ გინდათ, რომ თქვენს მიმართ უზრდელობას ვიჩენდე, ძალიან გთხოვთ, ნუ შეეცდებით ჩემს კოცნას". სწორედ ასე უთქვამს გლორია აროიოს.

ქვეყნის მეთაური როცა ქალია, როგორც ჩანს, ეს ზოგჯერ დამატებით პრობლემებს ქმნის სახელმწიფოში, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცთათვის...



# ჰიტლერი ბლის ქვეშ

## ოლივერ ჰირშბიგელის „ბუნკერი"

**ხელოვნების ფესტივალმა „ბლის ტყემ", მიწურულში მოაწყო მთელ მსოფლიოში გახმაურებული ოლივერ ჰირშბიგელის გერმანული ფილმის „ბუნკერის" რუსეთული პრემიერა. სურათი მოგვითხრობს ადოლფ ჰიტლერის უკანასკნელ დღეებზე. სცენარს საფუძვლად უდევს წიგნები – იოაჰიმ ფესტის „ჰიტლერის ბუნკერში", ტრაუდლ იუნგესა და მელისა მიულერის „უკანასკნელ საათამდე".**

...საკინოკონცერტო დარბაზის, „პუშკინის" შენობაზე უსახო წითელი ტილო გადაჭიმეს წარწერით „ბუნკერი"; შესასვლელი სილიანი ტომრებით ჩახერგეს – ნამდვილობის ილუზიის შესაქმნელად; აქ მომსახურე ძაღლებიანი კინოლოგებიც კი დეკორაციის ნაწილად აღიქმებოდნენ.

ყველას გვახსოვს ფილმებიდან, როგორ მივარდებოდნენ ხოლმე გერმანული ქოფაკები ჩვენს ჯარისკაცებსა და სამხედრო ტყვეებს. შიგნით მხიარული ცხოვრება დუღდა. კათხებში ლუდს გისხამდნენ, ტრადიციული ბავარიული ძეხვით გიმასპინძლდებოდნენ. ეროვნული ტანსაცმლით შემოსილი ანსამბლი, შესაბამისად ბავარიულ სიმღერებსა და მელოდიებს და იმათთან მახლობელს ასრულებდნენ (მახლობლობას მხოლოდ სპეციალისტები თუ გაარჩევდნენ). პერიოდულად ანსამბლის ხმებს აფეთქების გრუხუნი ფარავდა; საიდანღაც, ზემოდან, ხალხს ფხვნილი აცვიოდა; ასე რომ, რიგიანად ჩაცმული მუქკოსტიუმიანი მამაკაცები ფერფლით დაფარულივით გამოიყურებოდნენ; არცთუ სასიამოვნოდ ჩანდა ეს.

დარბაზში ცოტა იყო მაყურებელი, განსაკუთრებით ასეთი პრემიერისთვის. ყოველ მათგანს ქაღალდის პარკით ბალი მიართვეს, „ბლის ტყის" გამოგზავნილი. ვინმე გამორჩეული VIP-პირები არ შეგვიმჩნევია. კამერები ლ. პარფენოვსა და ე. ლიმონოვს მიჰყვებოდნენ, ლიმონოვს დეკორატიულად ეხვეოდა სულ ნორჩი ქალიშვილი.



ფილმი გრძელია, 150-წუთიანი, რაც ჩრდილს აყენებს, თუმცა კულტურული ნაკეთებია და სანახაობრივია, მაგრამ განსაკუთრებულ გრძნობებს, ღმერთმანი, არ იწვევს. მსოფლიო პრემიერის კარიბჭესთან ძალიან ბევრს მსჯელობდნენ იმაზე, რომ დაუშვებელია ჰიტლერის წარმოჩენა ადამიანურ პიროვნებად, მისდამი თანაგრძნობისკენ მოწოდებაც მიუღებელია. არანაირ სიმპათიას ეს პერსონაჟი არ ბადებს: ამ როლის შემსრულებელი ბრუნო ჰანცი ლაპარაკობდა იმაზე, რომ მისი გმირი ავადმყოფი, ცხოვრებისგან დაღლილი კაცია. მართლაც ასე გამოვიდა... ჰიტლერი უბრალოდ, ზოგჯერ ადამიანურადაც უყურებს თავის გარემოცვას, განსაკუთრებით სტენოგრაფისტ ქალს, მზარეულ ქალს, ევა ბრაუნს. იგულისხმება, რომ რაც ხდება, სწორედ ნორჩი სტენოგრაფისტის თვალით ვხედავთ, რომელმაც ერთ დროს ბედნიერებად ჩათვალა ამ კაცთან მუშაობა – საკუთარი ოჯახის პროტესტების მიუხედავად; ოღონდ ყველაფერი ვარაუდის დონეზეა...

1945 წლის აპრილი, უკანასკნელი ბრძოლები, რომელთა ბედი გადაწყვეტილია. ფიურერი ბუნკერში იმალება და ბერლინის დატოვებას არ აპირებს, რჩევების საპირისპიროდ. განა იმიტომ, რომ ღირსების გრძნობით აღსავსეა – არა, ასე გადაწყვიტა და კიდევ გამარჯვების იმედს არ კარგავს.

იმავე წლის 30 აპრილს ის ცხოვრებიდან წავა, თან ნეშტის დაწვას დაიბარებს, რომ რუსებმა მისი ფიტული სადმე მუზეუმში არ გამოდგან. აღარა აქვს წინანდელი ავტორიტეტი. გუშინდელი თანამოღვაწენი მხოლოდ მომენტს უცდიან, რომ დაითესონ და გადარჩნენ.

ყველაზე საინტერესო, რასაკვირველია, ისაა, რაც უკანასკნელ დღეებში ემართებოდა ბრძოლის ველზე მილიონობით ადამიანის – რუსის, პოლონელის, ებრაელის, გერმანელის (რის შესახებაც ცოტა რამ ვიცოდით) დამსამარებულ კაცს; და „ბუნკერიც" ძალიან დაწვრილებით გვიხატავს ამას, თვით ფიურერის, ევა ბრაუნის, ჰებელსის ოჯახის ცხოვრებიდან წასვლის ჩათვლით. განსაკუთრებით დეტალურად არის ნაჩვენები მაგდა ჰებელსის მიერ ექვსი მცირეწლოვანი შვილის მოკვდინების პროცესი – ხელის აუკანკალებლად რომ აძლევს მათ საწამლავს (თანაც გოგონათაგან უფროსს მშვენივრად ესმის, რომ ეს სულაც არ არის წამალი). რა უცნაურიც უნდა იყოს, არც ეს ხვდება გულს, თუმცა ბავშვებია, ხომ, რა მნიშვნელობა აქვს, მშობლები ვინ არიან. ყველაფერი ერთობ გულგრილად და დისციპლინირებულად არის გაკეთებული, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციაა.

ერთმა ჩემმა კოლეგა ქალმა შეკითხვა დასვა – როდის გადაიღებენ ასეთ ფილმს სტალინზე ჩვენთან? ეტყობა, არცთუ მალე. ჯერჯერობით კი კმაყოფილდებიან სერიალებში მისი სხვადასხვაგვარი თეატრალური იპოსტასიებით.

ბარემ ისიც შევნიშნოთ, რომ „ბუნკერი" ნაწილობრივ სანკტ-პეტერბურგში გადაიღეს – ბერლინს ჰგავსო. 700 რუსი სტატისტი მონაწილეობდა. პროდიუსერი ბერნდ აიჰინგერი ახლა აღტაცებულია რუსი ადამიანებითა და იმით, თუ როგორ მოვახერხეთ ჩვენ ყველამ ასე შორს წარსულის დატოვება, რაკი შეგვიძლია ერთობლივი სურათის გადაღება ასეთ თემაზე, ბლოკადაგადატანილ ქალაქში.

**სვეტლანა ხოხრიაკოვა.**
Культура, 2-8 ივნისი.

## ქრონოგრაფი

### 13 ივნისი, 1915 წელი



**ბელგიაში მდინარე იპრთან ბრძოლის დროს გერმანელებმა პირველად გამოიყენეს მომწამვლელი გაზი.**

ერთი თვის შემდეგ ასევე მოიქცნენ ისინი ვარშავასთან მდინარე რავკასთან და პაწაწკინტელა დასახლება ვოლია შილდოვსკისთან ბრძოლის დროს, ამჯერად რუსების მე-2 არმიის წინააღმდეგ. 7-8 ათასი ჯარისკაცი მოიწამლა, მეორე დღეს ამათგან 2 ათასი გარდაიცვალა. სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ ცნობილ გამომგონებელ ნ. ზელინსკის შეექმნა აირწინაღი, რომელიც ერთი წლის შემდეგ ჯარისკაცებს დაურიგდათ.

### 14 ივნისი (1696-1700)



**ღირს მამათა შიო ახლის, დავითის, გაბრიელისა და პავლე გარეჯელთა ხსენების დღე. ისინი დავით გარეჯელის მონასტერში მოღვაწეობდნენ. ღირსი შიო ქართლის სოფელ ვეძისიდან იყო. მისი მშობლები პაპუნა და თამარი იმ მხარეში სიმდიდრით იყვნენ ცნობილნი.**

მათ რვა შვილი ჰყავდათ – ხუთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ შიოს ძმებს ქონების გაყოფისათვის დავა მოუვიდათ და უფროსმა ძმამ უმცროსი მოკლა. ნეტარმა შიომ გადაწყვიტა გასცლოდა მაცდურ წუთისოფელს, იგი მონაზვნად აღიკვეცა გარეჯის მონასტერში. აქ წინამძღვრად იყო მამა ონოფრე მაჭუტაძე. იგი დიდად აფასებდა ღირსი შიოს თავდადებას, სიმდაბლესა და ძმათა სიყვარულს. ერთხელ, როდესაც მამა ონოფრე მონასტრის საქმეებზე იყო გასული, მონასტერი წმიდა შიოს ჩააბარა. მწუხრის ლოცვისას მონასტერს მოთარეშე ლეკები დაესხნენ თავს. მათ წამებით მოკლეს ღირსი შიო და ბერები დავითი, გაბრიელი და პავლე. წმიდა მოწამეთა აჩეხილი ნაწილები წმიდა დავით გარეჯელის საფლავის სამხრეთით დაკრძალეს. წმიდა შიო ახლის თავის ქალა საქართველოს საპატრიარქოშია დაცული.

### 15 ივნისი, 1389 წელი



**სამხრეთ სერბიაში ბოსნიელთა და სერბთა გაერთიანებულ ლაშქარს, რომელსაც სათავეში ედგა თავადი ლაზარი და თურქეთის არმიას შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა.**

მიუხედავად სერბთა და ბოსნიელთა თავგანწირული ბრძოლისა, ოსმალებმა სულთან მურად I მეთაურობით გამარჯვება მოიპოვეს. ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ევროპელთა ბედი – სერბეთი და ბოსნია ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში ვასალად შევიდა. 1459 წელს კი საბოლოოდ, თითქმის 400 წელი, სერბეთი ოსმალეთის შემადგენელი ნაწილი გახდა.

### 16 ივნისი, 1940 წელი



**ორი დღის შემდეგ, რაც ჰიტლერელთა არმიამ უბრძოლველად დაიკავა პარიზი, საფრანგეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა პირველი მსოფლიო ომის ფრანგი მარშალი, 84 წლის ანრი-ფილიპ პეტენი.**

იგი არ მალავდა თავის სიმპათიებს ფაშისტების მიმართ. 22 ივნისს მან გერმანელებთან უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. 1945 წლის შემოდგომაზე მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერთან თანამშრომლობის გამო ანრი-ფილიპ პეტენს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რომელიც საფრანგეთის ეროვნულმა გმირმა, გენერალმა შარლ დე გოლმა სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. პეტენი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

### 17 ივნისი, 1993 წელი

**უკრაინასა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება შავი ზღვის ფლოტის გადანაწილების შესახებ, რომელიც 210 წელი რუსეთის მფლობელობაში იყო.**



1783 წელს შექმნილმა შავი ზღვის ფლოტმა მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა – რუსეთ-თურქეთის ომში, ყირიმის ბრძოლასა და პირველ მსოფლიო ომში. მეორე მსოფლიო ომის დროს ფლოტი მონაწილეობას იღებდა ოდესის, სევასტოპოლის, ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვაში, ყირიმის, ნიკოლაევისა და სხვა ქალაქების გათავისუფლების ოპერაციებში.

### 18 ივნისი, 860 წელი

**რუსთა და ვარიაგთა ასობით ხომალდი მოულოდნელად მიადგა კონსტანტინოპოლს. ბერძენთა არმია და ფლოტი არაბებთან ბრძოლით იყო დაკავებული მცირე აზიაში, ამიტომაც რუსებს საშუალება მიეცათ გადაეწვათ და გაეძარცვათ ქალაქი.**

ცეცხლის ალში გაეხვია უმშვენიერესი ეკლესია-მონასტრები, სასახლეები. ძარცვა მთელ კვირას მიმდინარეობდა. ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ III იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რითაც რუსთა უძლეველობას აღიარებდა და ნაძარცვ ქონებას თან გაატანდა. მთელი კონსტანტინოპოლის ქონება თავდამსხმელებმა ხომალდებზე დატვირთეს და ქალაქს გაეცალნენ.

### 19 ივნისი, 1940 წელი

**გერმანელთა ტორპედოზე აფეთქდა ქალაქ ოკლენდიდან გამოსული საოკეანო-საფოსტო ლაინერი „ნიაგარა". მგზავრთა ევაკუაცია ეკიპაჟის წევრებმა წარმატებულად შეძლეს – არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა.**

სამაგიეროდ, ხომალდთან ერთად ოკეანის ფსკერზე დაეშვა 2,5 მლნ. გირვანქა სტერლინგად შეფასებული 590 ოქროს ზოდი, რომელიც ლაინერის ტრიუმში ინახებოდა და მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ხომალდის კაპიტანმა იცოდა. სამძებრო სამუშაოები 130 მეტრ სიღრმეზე ექვსი თვის შემდეგ დაიწყო. 1941 წლის მიწურულს შეძლეს ოკეანის ფსკერიდან მხოლოდ 553 ოქროს ზოდის ამოღება.

№ 138. კვირა, 12 ივნისი, 2005 წელი.

◎ თარიღი

# მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო?..

## 80 წლის ფრიდონ ხალვაშს მწერალთა კავშირის ბაღში შაშვებიც კი მიესალმებოდნენ

**მთელი ცხოვრება, ნაბიჯ-ნაბიჯ „საქართველოს სინათლეს" თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, იცოდა, რომ იგი სხვა სინათლეს არ ჰგავდა, „სულში მზის ამოსვლას" უფრო აგონებდა...**

ამ შუქით იარა რვა ათეული წელიწადი: უხაროდა, სტკიოდა, დარდობდა... ხანდახან სათქმელი ხანძარივითაც ამოითქმებოდა, რადგანაც ხედავდა, „თვითონ დიდებაც იყიდებოდა"...

თავად ხომ უმწიკვლოდ იცხოვრა – პოეტმა და მამულიშვილმა.

ფრიდონ ხალვაშის შინაგან მყუდროებაზე, კეთილშობილებაზე, პატრიოტიზმზე, ქართული სიტყვის ერთგულებაზე ბევრი ითქვა მწერალთა კავშირში გამართულ საიუბილეო საღამოზე. საღამოს წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მისალოცი წერილი, რომელიც პოეტს ქვეყნის პირველმა პირმა საგანგებოდ გამოუგზავნა.

**„თქვენი შემოქმედება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ერთი მნიშვნელოვანი შენაკადია და მით უფრო ფასეულია, რადგან იგი უმეტესწილად ასახავს საქართველოს მრავალტანჯული ისტორიული კუთხის – აჭარის გუშინდელ და დღევანდელ დღეს. თქვენ, როგორც მწერალს, გაკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა – სათქმელი ქართული სიდარბაისლითა და სიბრძნით თქვათ",** – ეწერა მისალმებაში.

მწერალთა კავშირის ბაღში, ღია ცის ქვეშ გამართულ საღამოზეც, რომელიც **მაყვალა გონაშვილს** მიჰყავდა, საქართველოს პრეზიდენტის ეს წერილი ქართველი მწერლისადმი პატივისცემის დასტურად არაერთხელ მოიხსენიეს.

**რევაზ მიშველაძე** იმედითაც კი განიმსჭვალა, ეგებ ბატონმა პრეზიდენტმა ქართველ მწერლებს აღარ წაართვას მწერალთა კავშირის ეს ისტორიული სასახლე, რაზეც თვალი უჭირავს ზოგიერთ უწყებასა და სამინისტროსო.

ასეთი შესავლის შემდეგ, რევაზ მიშველაძემ ვრცლად ილაპარაკა ფრიდონ ხალვაშის პიროვნებაზე, მის მოქალაქეობრივ გამბედაობაზე. გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც იგი მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას თავმჯდომარეობდა და ერთ მშვენიერ დღეს მწერალთა კავშირის დარბაზში სიტყვით გამოსულმა თქვა: „ერთი რამ ვერ გამიგია, რად უნდა აჭარას ავტონომია, სხვა ქვეყანაა თუ ჩვენ ვართ სხვა ერის შვილები?"

„ახლა ამ სიტყვებით ვერავის გააკვირვებთ, რადგან შემდეგ ეს აზრი მრავალჯერ გაიმეორეს სხვებმაც. ფრიდონ ხალვაშმა კი პირველმა განაცხადა მწერალთა კავშირის მაღალი ტრიბუნიდან. ეს მაშინ მოქალაქეობრივი გმირობა იყო..."

რევაზ მიშველაძემ გაიხსენა, აგრეთვე, კიდევ ერთი სამახსოვრო ნაბიჯი, როცა გიორგი ლეონიძემ სხვა სახელად წოდებული ფრიდონად მონათლა, ქრისტიანული წესით კი მისი ნათლია უწმინდესი და უნეტარესი ილია II გახლავთ.

„მან იუველირის სიფაქიზით, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, მისხალ-მისხალ ზომა და წონა მშობლიური აჭარისადმი თქმული ყოველი სიტყვა", – რაც რევაზ მიშველაძის თქმით, იოლი არ იყო, მაგრამ ფრიდონ ხალვაშმა გაბედულად შემოუძახა თანამემამულეებს, მიეყურადებინათ სვეტიცხოვლის, სხალთის ზარებისთვის, რათა გაეღვიძებინა მათთვის ის გენი, რომელი გენითაც საქართველოში ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა და ჩვენც მიგვაღებინა.

„... მერე კი ფრიდონ ხალვაში წერს რომანს: „შეიძლება იყოს თუ არა მუსლიმანი ქართველი". ავტორი დიდი ტაქტით, შინაგანი წვით, საოცარი სითბოთი მსჯელობს იმ ადამიანებზე, მათი რწმენისადმი პატივისცემით გამსჭვალულა. დაბოლოს, ფიცს სდებს დედააჭარის საქართველოსკენ ისევ მოსაქცევად. სჯერა, რომ ამის შემდეგ დიდი განწმენდა დაიწყება..."

რევაზ მიშველაძემ გაიხსენა, აგრეთვე, ფრიდონ ხალვაშის რომანი „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა", რომელიც ისევ დედასაქართველოსთან დაბრუნებაზეა. მწერალს არც 1979 წელი დავიწყებია, ამ წელს ფრიდონ ხალვაშმა „მშვენიერი გრძნეული პოეზიისთვის" სრულიად დამსახურებულად მიიღო რუსთაველის პრემია.

მწერალთა სასახლის ბაღში ფრიდონ ხალვაშს **გიორგი გიგაური** ლექსით მიესალმა:

**„გოდერძის ქედზე დადექ ლამაზად,**
**ჭოროხის ცალის ხმაზე ხმაურობ.**
**წამოგაჩოქებ უფრო მაღალ მთას**
**და ხიდაბუნებს საგიგაუროს.**
**შენ საქართველოს სუნთქვას**
**სდარაჯობ,**
**შენი ლექსებით, გულით და გონით.**
**მეგობრობაში, ფრიდონ ბატონო,**
**ავთანდილობას გაგიწევ, მგონი..."**



**გენო კალანდიამ** გაიხსენა ის წლები, როდესაც ფრიდონ ხალვაშის აფხაზეთში სტუმრობა ქართველებისა და აფხაზებისთვისაც დღესასწაული იყო.

„ფრიდონი სრულიად საქართველოს გამორჩეული პოეტია, – თქვა მან, – როდესაც აჭარაზე ვფიქრობ, უპირველესად ფრიდონ ხალვაში წარმომიდგება ლამაზი შემოქმედებით, საზოგადო მოღვაწეობით, კაცთმოყვარეობით. მას არასოდეს შეხებია ქვეყნის ჭუჭყი და ტალახი..."

გენო კალანდიას საამაყოდ ახსოვს მწერლური ცხოვრების ერთი ეპიზოდი, 1987 წელი, როდესაც კრემლის ყრილობათა დარბაზში ქართველების 32-კაციან დელეგაციას შეურაცხყოფა მიაყენეს, 21-მა კაცმა პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ფრიდონ ხალვაში იყო.

**მზია ხეთაგურმაც** განსაკუთრებულად გამოარჩია ფრიდონ ხალვაშის პატრიოტიზმი. მის პოეზიას მხოლოდ დიდი პოეზია კი არ უწოდა, არამედ საქართველოს ისტორიაში ნათქვამი პოლიტიკური აქტი, და მწერალთა კავშირში შაშვების გალობა სიმბოლურად იმედიან მომავალს დაუკავშირა.

**ლადო მრელაშვილმა** იუბილარს ქართულ ეროვნულ ემბაზში მონათლული უწოდა, ვინც დაიბადა მუსულმანად, მოინათლა მართლმადიდებლურად და არა მარტო აჭარას, მის იქით დარჩენილ საქართველოსაც ჩვენი მიწა-წყლის ყივილი გააგონა, მშობლიურ წიაღში დასაბრუნებლად...

„ორ ლომს" შეადარეს სცენაზე **სილოვან ნარიმანიძისა** და ფრიდონ ხალვაშის შეხვედრა. „ბარათი ზღვისპირეთში, ფრიდონს", – ასე მიესალმა სილოვან ნარიმანიძე იუბილარს. მას ფრიდონ ხალვაში ხიხანის ამაღლებულ სერზე მდგარი წარმოუსახავს, ვის გულშიც მტერთაგან დაჩაგრული კუთხის – აჭარის ისტორია ბობოქრობს. „ბრძოლითა და რწმენის ქინით მუდამ უმკლავდებოდა და უმკლავდება ისტორიის უზარმაზარი ტალღების მოხეთქებას..."

„... ბორგავს შავი ზღვა. იქ, ხიხანის მთის მწვანე კალთებში, თითქოს დიდ სევდას ჩაუძინია. შენ კი, ფხიზლობ და არ იძინებ: როგორ მაგონებს შენი მზერა, მზერას შორეულს, ბრძოლებით დაღლილ, ჩვენს დიდ წინაპარს. შემოქმედების დიდი გზნებით ადამიანებს მიუძღვები სინათლისაკენ..."

სილოვან ნარიმანიძის აზრით, ფრიდონ ხალვაშის ბიოგრაფია საკუთარი ხალხის ბიოგრაფიას ჰგავს და ამ რწმენისთვის არასოდეს უღალატია.

**ნოდარ ჯალაღონიამ** ფრიდონ ხალვაშს იმ დიდი მუხის ერთი ფესვი უწოდა, რომელსაც ერთიანი საქართველო ჰქვია. მან ვაჟკაცურად განვლო რვა ათეული წელი და ქართველი პოეტის სახელი ღირსეულად ატარაო.

**ციალა არდაშელიამ** ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამო პოეზიის ზეიმად მოიხსენია, იუბილარს კი აფხაზური დღეგრძელობა უსურვა. მან ფეხით მოიარა აჭარა, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ლექსებით ეგებებოდნენ, „მეწყერივით მოდიოდა ქართული სიტყვა და ლექსი". მაშინ მოუსმენია იბრაიმ გორაძის მიერ წაკითხული „მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა" და მეორედ აღმოუჩენია ფრიდონ ხალვაში. მერე კი გულშიჩამწვდომად წაიკითხა პოეტის გახმაურებული სტრიქონები:

**„მითხარ, როგორაა მემლექეთი,**
**ჩემი სანატრელი საქართველო.**
**რამე იმნაირი გამაგონე,**
**გული დაკოდილი გავამთელო..."**

**გიზო ზარნაძემ** იმ საღამოს რატომღაც მოთხრობა „აჭარელი" გამოარჩია, რომელიც მას ილიას „მგზავრის წერილებს" აგონებს, ხოლო აჭარელისა და ფრიდონ ხალვაშის დიალოგი კი ლელთ ღუნიას ცნობილ სიტყვებთან ასოცირდება. ავტორი აჭარელს სინანულით ათქმევინებს: ისეთი დრო დადგა, სიკვდილზე მეტად სიცოცხლის მეშინიაო.

**დავით ტაკიძის** თქმით, ფრიდონ ხალვაში ოდენ ცის კაცი კი არ არის, უპირველესად იგი მიწის ტკივილებით ცხოვრობს:

**„კაცი, რომელიც დადის ზეცაში**
**და მაინც მიწის ტკივილით**
**ცხოვრობს..."**

ფრიდონ ხალვაშს 80 წლის იუბილე მიულოცეს: **შოთა ხოდაშნელმა, ვახტანგ ღლონტმა, ვაჟა ოთარაშვილმა, რეზო ჭანიშვილმა, ნანა ხურითმა, მაყვალა ხორბალაძემ...**

საღამო დაასრულა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩვენებურები". „მრავალჟამიერის" ჰანგებზე ფრიდონ ხალვაშმა მადლობა გადაუხადა ყველას დაფასებისთვის.

მან სიყმაწვილისდროინდელი ლექსი გაიხსენა ჭოროხზე და დასძინა: ჩემი ცხოვრება პოეზიასა და ლიტერატურაში ამ ლექსით იწყება და მთავრდებაო. „ჭოროხი ჩემი ლირიკული გმირია, მეც ჭოროხივით, საქართველოს უმწუხრეს ღელე-ღურღნებში მიმოვედინები, რათა მერე, მასავით სავსე და ღონიერი ჩვენებურ ზღვას შევერიო... ჭოროხი იქიდან, გაღმა საქართველოდან მოდის და აჭარაში მთავრდება. ჭოროხის ცოცხალი ორგანიზმი სიმბოლურად საქართველოს უკვდავებას გამოხატავს..."

... ასე სჯერა 80 წლის ფრიდონ ხალვაშს, სელიმ ხიმშიაშვილის სიტყვებისაც სწამს, როდესაც თავის მოსაკვეთად გაიყვანეს, მტრებს რომ უთხრა: ძნელი არ არის, თუ ჩემს სხეულს თავს მოაცილებთ, მაგრამ იცოდეთ, საქართველოს აჭარა არასოდეს მოცილდებაო!..

... იმ მზიან დღესაც, ამ ერთგულებისთვის თითქოს თბილისი სიყვარულით ქედს უხრიდა პოეტს და ემადლიერებოდა...

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ ჩვენებური

# ლეო ბოკერია გვირჩევს

*ქვეყნის აყვავების მაჩვენებელი და საფუძველი ერის ჯანმრთელობა გახლავთ. მოსკოვში ამ პრობლემატიკას მიეძღვნა ხუთდღიანი ფორუმი, რომლის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნოდა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციას „ერის ჯანმრთელობის ლიგას" (პრეზიდენტი – აკადემიკოსი ლეო ბოკერია). გაზეთ „ტრუდის" კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი კარდიოქირურგი (2-8 ივნისის ნომერი). გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან.*



**– ლეო ანტონის ძევ, როგორია „რეცეპტები" ერთი ადამიანის, ოჯახის, მთელი საზოგადოების ჯანსაღი, სრულფასოვანი სიცოცხლისათვის?**

– იმათგან დავიწყოთ, ვინც დაოჯახებასა და შვილების ყოლას აპირებს: უნდა ესმოდეთ, რომ ახალ არსებას ანიჭებენ სიცოცხლეს. ამაზე ლაპარაკი სკოლის მერხიდან უნდა დავიწყოთ: ბავშვი ნორმალური მშობლებისგან უნდა ჩაისახოს. ძლიერი ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ფონი მაინც უნდა გამოირიცხოს. ფეხმძიმე ქალი თითქმის ანგელოზურ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს, გულმოდგინედ ერიდებოდეს გაციებას, ინფექციებს, სტრესებს. სხვაგვარად ბავშვს შესაძლო მძიმე შედეგები ელის.

გულის დაავადებები რომ ასე გახშირდა, აქ საქმე მარტო მედიცინაში როდია – ცხოვრების წესი, კვება, მოწევასთან მკვეთრი ბრძოლაა ანგარიშგასაწევი. აუცილებელია ფიზკულტურული მეცადინეობები. სულაც არ არის სავალდებულო ძუნძულით სირბილი ყველასთვის ან ყველასთან ერთად. დაე, ყოველმა ჩვენგანმა აირჩიოს ნებისმიერი ვარჯიშები, სპორტული თამაშები, სიარული. მე სტატიკურ ტანვარჯიშსაც ვცნობ: მოსინჯეთ რამდენიმე წუთს აწეული ხელით ან ცალ ფეხზე დგომით გაძლება. დატვირთვები საგრძნობია, შედეგი – როგორც სირბილისას.

**– თქვენი ბიოგრაფია სავსეა წოდებებითა და პრემიებით. ახლახან გადმოგეცათ პრესტიჟული პრემია, „ტრიუმფად" წოდებული. საკუთარი ცხოვრების ტრიუმფად რას დაასახელებდით?**

– ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავი იყო ლენინური პრემიის მონიჭება – მაშინ მხოლოდ 36 წლისა ვიყავი. მამა არ მახსოვს, სამი წლისა დავობლდი. ოღონდ ყოველთვის ძალიან მინდოდა, რომ მისი გვარი არ წაშლილიყო, ხალხის ხსოვნაში დარჩენილიყო... იმ პრემიის მიღება ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია.

**– უთვალავჯერ გინახავთ გული, ეხებოდით მას, შველოდით. როგორია – ლამაზი, მოწყვლადი, სუსტი, მაგარი?**

– გული მუდმივი ძრავაა, ზღაპრულად ლამაზი. არავის უფრო დინამიკური და სრულყოფილი ჯერ არ მოუფიქრებია რამე. მისი ფორმებიც როდია შემთხვევითი. მეცნიერება მხოლოდ ახლა მიუახლოვდა იმის გაგებას, თუ როგორ ჩამოყალიბდა გული... აი ახლა, პირდაპირ საოპერაციოში მივდივარ, ექვსი დღის ჩვილს უნდა გავუკეთო ოპერაცია.

**– ღმერთო, რა ნამცეცი გული ექნება!..**

– ჰო, პატარა, რასაკვირველია. პატარა და სუსტი. თუმცა მოზრდილი ადამიანის გულიც ფიზიკურად ერთობ „ნაზია". ამიტომ ქირურგი ძალიან კარგად უნდა იყოს ოპერაციისთვის მომზადებული. გულს დაჭრის ყველა ქარიშხალი, ყველა ემოცია, რაც კაცის გადასატანია. ამიტომაც სჭირდება მას დიდი მოფრთხილება. გულის შეკეთება ძნელია, მაგრამ ამ საქმით სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები დაკავებული. რა თქმა უნდა, სანამ ჩემი მუშაობის ნორმალურ შედეგებში არ შემეპარება ეჭვი.

◎ დიდი ცრუპენტელას მუზეუმი

# იაკობინა მიუნჰაუზენი ლატვიელი ქალი იყო

**ამ დღეებში ლატვიის დაბაში, დუნტეში, რიგიდან 50 კილომეტრზე, ბარონ ფონ მიუნჰაუზენის მუზეუმი გაიხსნა. პირველ სტუმრებს თვით ბარონი და მისი მეუღლე იაკობინა ეგებებოდნენ – ლატვიელი მსახიობების შესრულებით. თვით მუზეუმის შენობა გახლავთ XVIII საუკუნის ფუნდუკის სტილიზებული რეკონსტრუქცია. ამასთან, ის იმ ცნობილი სამიკიტნოს ადგილას არის აშენებული, სადაც თავის დროზე გაჩერდა ლატვიაში სულ ახალი ჩასული იერონიმ კარლ ფრიდრიჰ ფონ მიუნჰაუზენი.**

იმხანად, ეს კი 1744 წელს იყო, იგი არმიაში მსახურობდა პორუჩიკად. მისი ასეული დისლოცირებული იყო სწორედ ამ ადგილებში. აქვე, დუნტეში, ბარონი მომავალ ცოლს გაეცნო – იაკობინა ფონ დუნტეს, ადგილობრივი მოსამართლის ქალიშვილს. ლატვიაში გაატარა მიუნჰაუზენმა თავისი ცხოვრების ექვსი ყველაზე ბედნიერი წელი. ლატვიაში ბარონის ხანმოკლე ყოფნამ დღეს შეიძლება რიგის ახლოს მდებარე ლამაზი დაბის მცხოვრებნი გააბედნიეროს: მუზეუმის პატრონებს – ორ ადგილობრივ ბიზნესმენს – აქ ათასობით უცხოელი ტურისტის მოზიდვის იმედი აქვთ.

მუზეუმის მეორე სართულზე სასტუმროა მოწყობილი – აგრეთვე ბარონის ეპოქის სტილში. საწოლებიც კი XVIII საუკუნის ავეჯის ესკიზების მიხედვით გააკეთეს. თვით მუზეუმში გამოფენილია ძველებური წიგნები დიდი მატყუარისა და ფანტაზიორის მოთხრობებით, XVIII საუკუნის ნივთები: ჭურჭლეული, სურათები, მონეტები, რომლებიც ლატვიაში 1744 წელს მიმოიქცეოდნენ. პირდაპირ მუზეუმში მუშაობს ფუნდუკი, სადაც შეიძლება ლატვიური და გერმანული სამზარეულოების კერძების მირთმევა; რაც უნდა იყოს, მიუნჰაუზენი გერმანელი გახლდათ და „მთავარი" მუზეუმი, რომელიც მხიარულ ბარონს მიეძღვნა, გერმანიის პატარა ქალაქში, ბოდენვერდერშია განლაგებული, სადაც „დიდი დამხეთქებელი" მოევლინა ქვეყანას.



დუნტეში მუზეუმის გახსნას თან ახლდა გასროლები სამი ძველებური ზარბაზნიდან. რასაკვირველია, ისროდნენ ყუმბარებს. ეს კია, რომ ბარონ მიუნჰაუზენმა, უფრო ზუსტად, მისმა ლატვიელმა „შთამომავალმა", ყუმბარით „გაფრენა" არ ისურვა. ამის ნაცვლად ის ფოტოსურათებს იღებდა მუზეუმის სტუმრებთან და ცეკვავდა ჯიშიან ლატვიელ ქალიშვილებთან, რომლებიც ამ შემთხვევის გამო ძველი ეპოქის კაბებში იყვნენ გამოწყობილნი.

# ზარი სახლის მისახედად უხმობს

## კუბაზე ჰემინგუეის ვილას ამერიკელთა ფულით შეაკეთებენ

**ვილა ფინკა ვიხია, რომელიც ოდესღაც ერნესტ ჰემინგუეის ეკუთვნოდა, მალე ახალ სიცოცხლეს დაიწყებს. აგარაკი იმ ისტორიული ობიექტების სიაში შეიტანეს ამერიკაში, რომლებიც დაცული უნდა იქნან, და ფულიც გამოჰყვეს მის აღსადგენად.**

ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა აშშ ასე ზრუნავს უცხოეთში მდებარე ისტორიულ ნაგებობებზე. მით უფრო კუბაზე, რომელსაც ეს ქვეყანა აგერ რამდენი წელია, რაც ეკონომიკური ბლოკადის რკალში ამყოფებს.

თვალწარმტაც ფინკა ვიხიაზე მწერალმა 20 წელი იცხოვრა და სახელგანთქმული მოთხრობა „მოხუცი და ზღვაც" იქ დაწერა. 1961 წელს ჰემინგუეის თვითმკვლელობის შემდეგ მისი სახლი მუზეუმად იქცა, სადაც ხელნაწერები ინახება. ნესტიანი ჰავისა და ხშირი გრიგალების გამო ვილა ავარიულ მდგომარეობაშია. სახურავი გაცვდა, კედლებიდან, სადაც მწერალს წარწერების კეთება ჰქონდა ჩვევად, აგრეთვე თავისი წონისა და წნევის აღნიშვნა, ბათქაში ცვივა. თავისუფლების კუნძულის ხელისუფალთ, უფრო საჭირბოროტო პრობლემებით დაკავებულთ, ჰემინგუეის სახლის რესტავრაციისთვის არა სცხელათ, თუმცა მწერალი კუბას თავის სამშობლოდ მიიჩნევდა. სამაგიეროდ, რესტავრაციის უფლებისათვის შეუპოვრად იბრძვის აშშ-ში არსებული ჰემინგუეის ფონდი.



ორგანიზაცია შარშანვე აპირებდა კუნძულზე არქიტექტორ „რეანიმატორთა" გაგზავნას, მაგრამ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ შერისხულ რესპუბლიკაში გამგზავრების ნება არ დართო. ერთი კვირის წინათ შემდგარი მეორე ცდა დიდი წარმატებით დასრულდა. ფონდმა აშშ-ის ხაზინას „გამოსტყუა" გრანტი, რომლითაც გასაჭირში ჩავარდნილი ვილისკენ არქიტექტორებისა და რესტავრატორებისგან შემდგარ მაშველ რაზმს დასძრავენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს რკინიგზა"

## ბრძანება

2005 წ. 19 მაისი ქ. თბილისი № 221

### რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სეზონური ტარიფების შემოღების შესახებ

შპს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 15 მარტის № 31/66 და 4 მაისის № 32/67 დადგენილების შესაბამისად, ა/წ 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე სამგზავრო მატარებელზე სეზონური ტარიფების შემოღების და შესაძლო კორუფციული გარიგების მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით

**ვბრძანებ**

1. საზაფხულო სეზონზე, 2005 წლის 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე შემოღებულ იქნეს სეზონური სამგზავრო ტარიფები, თანდართული ცხრილების მიხედვით.

2. I და II კლასის საწოლადგილიან ვაგონებში, მგზავრობის საფასურის გადახდასთან ერთად, მგზავრისათვის სავალდებულოა თეთრეულის საფასურის გადახდა (2 ლარი), ხოლო III კლასის ვაგონებში – მგზავრის სურვილის მიხედვით.

3. გაუქმდეს კომერციული დირექტორის 2005 წლის 27 იანვრის № კდ-54 განკარგულების შესაბამისად 31 იანვარს № კდ-67, № კდ-68, № კდ-70 და 1 თებერვლის № კდ-69-ით დამტკიცებული სატარიფო ცხრილები. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომერციულ დირექტორს (რ. გიორგაძე).

**გენერალური დირექტორი დ. ონოფრიშვილი.**



ცხრილი № 1



ცხრილი № 2



ცხრილი № 3

## კვირსხივოსანი



# სალაღობო

ახალი კაცით ვიმარჯვეთ,
„ფარსადანოვიჩს“ მივენდეთ
და გვჯერა მისი „ბოკვერიც“
არ გაგვიცრუებს იმედებს.
და გვჯერა ახალკაცობას,
რომ გააგრძელებს ლამაზად,
ის ურჩევნია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

ნოდარ ახალკაც-უმცროსს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის გამო

ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.

## გიხაროდეთ!

# მეოთხეც ბიჭი მყავს



სამი ბიჭის შემდეგ გოგოს ვნატრობდით. გაჩნდა ბიჭი – ვახტანგი. ჩვილი გოლიათი დაიბადა, 4 კილო და 200 გრამი.

სამი შვილის – ზაზას, ირაკლის და დათოს სახელზე სამი ძირი კაკლის ნერგი მქონდა დარგული, ახლა სამ ძმას მეოთხეც მიემატა და ვახტანგის სახელზე მეოთხე ნერგიც მივუმატე. კარგია, ძმები ერთმანეთს მხარში ამოუდგებიან და ასე გაიტანენ ცხოვრების ღელოს. მეხუთე გოგო იქნება. ჩემი მეუღლე თათუშაც თანახმაა მეხუთე შვილის გაჩენაზე.

**ერი სურმავა,**
**მარტვილი.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— **რამდენ** წელს მომცემდით? — ჰკითხა ერთმა კეკლუცმა ქალმა მეზობელს.

— ბაგეების ფერით — ჩვიდმეტს, გადარკალული წარბებით — თექვსმეტს, სახის ფერით — ოცს. ჯამში — ორმოცდაცამეტს.

* * *

**ჩინეთში** ჩატარდა აქცია „სექსი ნარკოტიკების წინააღმდეგ“.

გაიმარჯვა სექსმა.

* * *

— **მე** და ის გოგო ერთ მერხზე ვისხედით, შემდეგ ვიქორწინეთ, ბავშვები გავაჩინეთ.

— შემდეგ?

— შემდეგ? სხვადასხვა მერხზე გადაგვსვეს.

* * *

— **შვილო,** უკვე დიდი ბიჭი ხარ. დროა სექსზე დავილაპარაკოთ. მითხარი, გოგო გყავს?

— მყავს, მამა.

— ჰოდა, ახლა სექსზე: იმას მეგობარი გოგო არ ჰყავს?

* * *

**ეს** ავტოინსპექტორები სულ გაგიჟდნენ! გუშინ ერთმა 500 დოლარით დამაჯარიმა!

— რისთვის?

— მითხრა, უსაფრთხოების ბალიშის შალითა ჭუჭყიანიაო.

* * *

— **ყურადღება!** დაიკარგა მოსკოვის საგადასახადო ინსპექციის უფროსის შვილი — ბიჭუნა 12 წლისაა, განსაკუთრებული ნიშანი — პოლკოვნიკია.

* * *

**ახლა** დედები შვილებს ასე აშინებენ: „ცუდად მოიქცევი — მაიკლ ჯექსონს მიგცემ“.

* * *

**რატომ** არის, სამუშაო )ალა მატულობს, ტექნოლოგიები ვითარდება, სამუშაო დღეების რაოდენობა კი არ კლებულობს?



ვინსენტ ვან გოგის შვიდი სერიის ერთ-ერთი სურათი „მზესუმზირები“, 1987 წელს ლონდონში კრისტის აუქციონზე 225000000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. მისი მფლობელი გახდა იასუდ ფაიერი და საზღვაო სადაზღვევო კომპანია. ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე ძვირფასიანი ნახატი. მისი ზომაა 99X76 სმ.

* * *

**დღეისათვის** მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ 5000 ენასა და დიალექტზე. აქედან 845 იხმარება ინდოეთში. მსოფლიოში ყველაზე მეტი ხალხი ლაპარაკობს ჩრდილოეთ ჩინეთის, ანუ მანდარინის ენაზე. მარტო ჩინეთში ამ ენაზე საუბრობს მოსახლეობის 68%, ანუ 709 მილიონი ადამიანი (1985 წლის აღწერის მიხედვით). მეორე ადგილზე კი ინგლისურია. ამ ენაზე მოსაუბრეთა რაოდენობაზე 1986 წლის აღწერით, 100 000 000-ია.

* * *

**პარიზელმა** ანტონიო ბინმა მონა ლიზა დაახლოებით სამასჯერ დახატა. თითოეულ პორტრეტში იგი 1000 ფუნტ სტერლინგს იღებდა.

* * *

**ყველაზე** გრძელი მოხსენებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოვიდა კუბის პრეზიდენტი ფიდელ კასტრო რუსი, 1960 წლის 26 სექტემბერს. იგი ოთხ საათსა და 29 წუთს ლაპარაკობდა.

* * *

**ყველაზე** დიდი თანხა თვითმფრინავის გამტაცებლებს, ექვსი მილიონი დოლარი, გადაუხადა იაპონიის მთავრობამ 1977 წლის 2 ოქტომბერს. მათ 38 მძევალი გაათავისუფლეს, რომლებიც იმყოფებოდნენ იაპონური ავიაკომპანიის დეალის თვითმფრინავში.

## ლარის კურსი

**11 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.3222 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8201 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2260 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0640 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3836 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4000 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.5999 ლ. |

## ვერნისაჟი

# გაუგებრობა გრაფიკულ ცილოებზე...

**გალერეა „უნივერსში“ წარმოდგენილი ექსპოზიცია დამთვალიერებლებისთვის გახდა გაუგებარი, დამაბნეველი და, შესაბამისად, მიუღებელი...**

რატომ?! – კონკრეტული პასუხი, უბრალოდ, არ არსებობს... ან საზოგადოებაა ნაკლებად ცივილიზებული და ინტელექტუალური, ან ეს კონცეპტუალური მხატვრობაა უინტერესო და ოდიოზური.

თუკი ხელოვნებაში მხატვარი შექმნის ანტიჰუმანურ, ანტიმხატვრულ, სულიერი სიმახინჯის ტილოს, მაშინ შეიძლება ის „შედევრი“ მასამ დიდი ოვაციით მიიღოს...

დღეს კალეიდოსკოპურად ჭრელი, კონტრასტული შთაბეჭდილებები გაჩნდა **ნინო ლომაძის** პერსონალური გამოფენის ირგვლივ. ვერნისაჟი სახელწოდებით „Mental-micro-object glass) იგივე **„ნერვული სისტემა – მიკროობიექტივი“** თვით ხელოვანებისთვისაც კი აღმოჩნდა უცნაური და ამოუცნობი.

შეიძლება ეს მხატვრული წერის ინოვაციური მანერაა, მაგრამ ამ ალტერნატივასთან ურთიერთობა რატომღაც, გამაღიზიანებელია. ცნობილია, რომ ახლის მთქმელს იერიშებით ხვდება საზოგადოება, მაგრამ ამ ბარიერს წინ უნდა დახვდეს საკმაოდ მყარი ავტორისეული კონტრარგუმენტაცია... ეს კი ნინოსთან საუბრისას საერთოდ არ იგრძნობა, რადგანაც „დამტვრეული“ ქართულითაც კი საკმაოდ ეძნელება ტილოზე რაიმეს ახსნა.

და მაინც, „ნერვული სისტემა – მიკროობიექტივი“ ეს არის სივრცობრივი გრაფიკა, ფიგურული მხატვრობა?

„შეიძლება ასე ვუწოდოთ, მაგრამ ჩემს შემოქმედებაში სტილს არ განვსაზღვრავ, მიმართულებას არ ვაკონკრეტებ, ასეთ განზომილებას არ ვითვალისწინებ... ეს არის საათის მექანიზმი, მიკროობიექტივი, მიკროპროცესი სინთეზურ განზომილებაში და საერთო მექანიზმში. აქ არის ნერვის გარსის ფაზები, განფენილობა, გეომეტრიული ფორმა დროის გარკვეულ მომენტში ხდება რაღაც ფაზის, შემდეგ რეფლექსის განზოგადება, განვითარება, მიკროპროცესი“.

გრაფიკულ ტილოებზე ფიზიონომიური და ფიზიოლოგიური პროცესებია გადმოცემული, რომელსაც გაურკვეველი ინგლისური ფრაზებით ალბათ, რაღაც ახსნა მოეძებნება... თუმცა, ეს ავტორისეული რემარკები ისეთივე ქაოსური, ჩახლართული და ბუნდოვანია, როგორც მთლიანად ნამუშევრების იდეურ-კონცეფციური დატვირთვა. რთული წასაკითხია და ასევე, ძნელად აღსაქმელია ყოველი ნახატის ქაოსურ-აბსურდული ლაბირინთები, ჩართული ფსიქოლოგიური მოტივები, ასევე მონოტონური სურათულობა, რომელთა კონტექსტები თავიდანვე ქართულ ენაზე რომ გაშიფრულიყო, შეიძლება ამდენი გაუგებრობა და საზოგადოების უარყოფითი რეაქცია არ წარმოქმნილიყო.

„ნამუშევრის ტექსტუალური მხარე, ეს აზროვნების მონტაჟია... ეს ნამუშევარიც არის აზროვნების სიბრტყე განუსაზღვრელ ფორმაში, ქვეცნობიერების ვაკუუმში, მიკროწერტილის ობიექტივში, სუბსტანციურ განზომილებაში. ამ ყველაფერს სხვა ფორმულირებებით უნდა შევხედოთ... ის ტილო კი მეტყველების აპარატისა და ბგერითი გადმოცემების ვაკუუმზეა ასოცირებული. ბგერის გადაცემა გადადის მიმიკაში, 4 ფაზასა და სიბრტყეში... აქ არის კიდევ, ხელების სტრუქტურის კონცენტრაცია. ზოგადად ორი მიკროსივრცის სინთეზური რეაქცია, ნერვის მოდიფიკაცია“...

ეს ნამუშევრები თბილისში პირველად გამოიფინა და საზოგადოების ადეკვატურ რეაქციას მხატვარი არ ელოდა... არ ელოდა, რადგანაც...

„ტილოს წაკითხვისა და გაგების სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს... ამ ნახატების აღქმას ბევრი ფიქრი სჭირდება, მაღალი ინტელექტი... ასეთი მიმართულებით დღეს არავინ მუშაობს საქართველოში, ჰოლანდიაშიც კი, სადაც ვსწავლობდი ამსტერდამის აკადემიაში მხატვრობის თავისუფალ მიმართულებაზე. იქ გარკვეული ბარიერები ჩემი მხატვრობის მიმართ არ მიგრძვნია“.

გალერეის კედლებიდან მიკროობიექტივის გრაფიკული სერია დღეს ჩამოიხსნება და ეს საზოგადო დაბნეულობაც ამით დასრულდება...

**მზეხა მახარაძე.**

**სურათებზე: ნინო ლომაძის ნამუშევრები.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**







## დრო გარდასული

# ერთი ფოტოსურათის ისტორია

1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი. იმავე დღეს, 17 საათზე, თბილისში, მთავრობის სასახლის დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც ნოე ჟორდანიამ ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიული და იმავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“...



1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ერმა აღესრულა თავისი საუკუნეობრივი ოცნება – აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც მრავალი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

**ეს ფოტოსურათი** კი 1920 წელსაა გადაღებული და მასზე აღბეჭდილია საქართველოს დროებითი მთავრობის ერთ-ერთი სხდომა.

**პრეზიდიუმში,** პირველ რიგში სხედან: მესამე – მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

**გურამ გომართელი.**

## ამინდი დღეს

| 12 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 28° | 17° |
| ბათუმი | 20° | 16° |
| თელავი | 28° | 14° |
| სოხუმი | 20° | 15° |
| ქუთაისი | 25° | 17° |

შვილები ნუგზარ, ლიანა, ომარ ქავთარაძეები, ძმები მიხეილ, გრიგოლ აქირთავები ოჯახებით, რძლები ლალი გუჯაბიძე, ლია ღუღუნიშვილი, ანა ნაკაშიძე, შვილიშვილები კონსტანტინე, გია, სალომე, მანანა, მაია ქავთარაძეები, გიორგი, გურამ გვასალიები, შვილთაშვილები თათია, ნიტა, რუსუდანი, საბა, ლიკა, ნატალი, ელენე, ლალი, კონსტანტინე, სიძეები ჯაბა სიხარულიძე, კახა ბერელაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლღა ჯოტოს ასული ქავთარაძე

პანაშვიდი 12, 13 VI, 17 სთ., გამოსვენება 14 VI, 15 სთ. მისამართი: რიწის ქ. № 3 (ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარე).

---

რამაზ ხმალაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს მეგობარს ნუგზარ ქავთარაძეს და მის ოჯახს დედის – ქალბატონ

ოლიას

გარდაცვალების გამო.

---

ბუჭუ ბერიძე, ოთარ აბდუშელიშვილი, იური კირკიტაძე, დათო ბერძენიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნუგზარ ქავთარაძის

დედა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კათედრის გამგეს შოთა ღოღონაძეს დედის

გუგული ღოღონაძის

გარდაცვალების გამო.

---

ელენე მერცალოვა, სვეტა გვათუა, ნინო ქვანია, ნინო, გურამ, დავით, მერაბ ტატიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი

ლამარა (ზექია) ლაზარეს ასული ჯორბენაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 12, 13 VI, 18 საათზე. გამოსვენება 14 VI, 16 საათზე. ლანჩხუთი, სოფ. ჩიბათი.

## გახსენება

# დოდო მგელაძე



თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის, ინგლისური ენის კათედრის გამგის, უმშვენიერესი ქალბატონის **დოდო მგელაძის** გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა.

ჩვენო საყვარელო, უმშვენიერესო ქალბატონო დოდო! დღეიდან შენი ნათელი სული ზეციურ საქართველოშია, იმ ღირსეულ პიროვნებათა გვერდით, ვინც ერს, თაობათა აღზრდას და ნათესაურ თუ ოჯახურ მყუდროებას ღირსებითა და ერთგულებით ემსახურა...

აი, რას აქვეყნებდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორატი გარდაცვალების დღეებში: „დიდია ქალბატონ დოდო მგელაძის დამსახურება ქართული ანგლისტიკის წინაშე. ჩვენმა უნივერსიტეტმა და ალბათ მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა არა მარტო ერთ-ერთი თვალსაჩინო ანგლისისტი, არამედ ჭეშმარიტად თანამედროვე დონეზე და თანამედროვე მეთოდებით ინგლისური ენის სწავლების ინიციატორიც. მისი ძალისხმევით, გამარჯვებული პროექტების წყალობით, ტექნიკის ბოლო სიტყვით ჰქონდა აღჭურვილი ინგლისური ენის კაბინეტი. დოდო მგელაძე ხელმძღვანელობდა ინგლისური ენის კათედრას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში, როცა ამ ენის ცოდნამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და თუ დღეს საქართველოს ნამდვილად არ უჭირს გარე სამყაროსთან ინგლისურ ენაზე ურთიერთობა, ამას ქალბატონ დოდო მგელაძის დამსახურებადაც მიიჩნევენ. სტუდენტებისა და კოლეგების სიყვარულით გარშემორტყმული დღენიადაგ ჩრდილში დგომით დიდ საქმეს იყო შეჭიდებული. და არ უცდია საკუთარი ღვაწლის წარმოჩინება.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აშშ-ში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა დოდომ, ტერორიზმის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა, ამ თანადგომამ დიდი რეზონანსი გამოიწვია პრესასა თუ საზოგადოებაში. აქციის მონაწილეებმა ყველა შტატი მოიარეს და დღევანდელი მსოფლიოს „სუპერ სახელმწიფოს“ პატარა საქართველოს ერთგულება ამცნეს“.

ამბობენ „ერთგულებაც“ პროფესიააო... თქვენ ყველაზე დიდ პროფესიად „დედობას“ მიიჩნევდით, ამიტომაც განსაკუთრებულად სათუთი იყო თქვენი პიროვნული დამოკიდებულება როგორც უფროსებისადმი, ისე მომავალი თაობებისადმი.

ბოლოს, ერთადერთმა ვაჟიშვილმა ვახტანგმა სადიპლომო ნამუშევარი, ფერწერული ტილო რომ გიჩვენათ, მხოლოდ თვალებითღა გამოხატეთ ის სიხარული, რასაც ადრე ასე უხვად, ენერგიულად აფრქვევდით და ამაში ცხადდებოდა თქვენეული ხიბლი, ქართველი მანდილოსნის მადლი, ამით ხომ ყველას გარშემომყოფთ გვათბობდით, გვაიმედებდით...

გვახსოვს ისიც, როცა ნანატრმა, პატარა ვახომ პირველი ნახატი, ბებოს პორტრეტი დახატა, სოხუმის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის, დამსახურებული პედაგოგის ქეთო ბახტაძე-მგელაძის პორტრეტი, მაშინ თქვენზე ბედნიერი არავინ იყო ამ ქვეყნად... რადგან ამაში არა მარტო მომავალი ფერმწერის ნიჭი დაინახეთ, არამედ ყველაზე დიდი ნიჭი – ადამიანურ თვისებათა შორის, მადლიერების გრძნობა, დღეს რომ ესოდენ იშვიათია.

თქვენი პედაგოგიური სიბრძნითა და ალღოთი, და კიდევ დედური გუმანით წინასწარ იცოდით ასეთი ბავშვებისაგან ღირსეული მოქალაქეები ჩამოყალიბდებიან ხოლმე... ამას დიდ ჯილდოდ მიიჩნევდით; დიდ ჯილდოდ მიიჩნევდით აგრეთვე თქვენს საყვარელ საქმეს – ნიჭიერ თანამოაზრეებთან მუშაობას... თქვენი ხელოვანი მეუღლის ბატონ შოთა (ჯუდუ) სალაძესთან და თქვენი დახვეწილი გემოვნებით შექმნილ იმ ლამაზ ეზო-გარემოს, რომელსაც სახელოსნოც ერქვა და საცხოვრებელი სახლიც, რომელსაც მისხალ-მისხალ ესოდენ დიდი მოთმინებით აშენებდით. სწორედ ამიტომ ძალიან გიჭირდათ ცხოვრების შუა გზიდან გასცლოდით ყველას, მით უფრო რომ ვაჟიშვილის ბედნიერებას ვერ მოესწარით. ვერ მოასწარით ძმისშვილიშვილების თქვენეული პედაგოგიური მადლით დაფრთიანება... თქვენი და გურამ მგელაძის და-ძმობა ხომ ქართული ტრადიციების სანიმუშო მაგალითია.

უმშვენიერესო ქალბატონო, ღირსეულო კოლეგავ, ერთგულო მეგობარო და მეზობელო, ყველას ჩვენ ძალიან გვეიმედებოდა თქვენი ამ წუთისოფელში ყოფნა, ყველას მოგვიხაროდა თქვენს ლამაზ გარემოში სტუმრობა, დიდებული მასპინძელი იყავით, რადგან იცოდით სიცოცხლის ფასი და იხარჯებოდით ბოლომდე და ცდილობდით ჩვენთვისაც დაგენახვებინათ რა მშვენიერია წუთისოფელი. ამიტომაც თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლა სიკვდილი არ არის, ეს არის გზა აქტიური ცხოვრებიდან სიცოცხლისაკენ. ეს გზა კი მარადიულია, ამიტომაც არ გემშვიდობებით, ნახვამდის!

ნათელში იქნება დღეიდან თქვენი სული დიდებულო ქალბატონო, დოდო.

**ოჯახის ახლობლები, მეგობრები, კოლეგები.**

## ხსოვნა



# დიტო გოჩოლეიშვილი

„ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“, მაცხოვრის ბაგეთაგან თქმული ეს სიტყვები გვანუგეშებს შენს ერთგულ ადამიანებს მას შემდეგ, რაც შენმა მართალმა სულმა დატოვა ეს ცოდვებით დამძიმებული დედამიწა. უჭირდა, ძალიან უჭირდა შეგუება უსამართლობასთან, უსინდისობასთან, უსულგულობასთან, და რა ბედნიერებაა, რომ ამ ჭუჭყიდან ისეთივე ბრწყინვალე და ნათელი ამოვიდა, როგორიც უფალმა ოდესმე შენს სხეულს მიანიჭა. მაგრამ გულმა ვერ გაუძლო, გული აღმოჩნდა ამდენ უკუღმართობასთან ბრძოლის მედგარი მხედარი და შედრკა, დაიშალა დაღლილი და დაჭრილი.

და აი, შენ აღარა ხარ ჩვენს გვერდით, შენ, რომელიც მაგალითი იყავი ჩვენთვის კეთილშობილების, ერთგულების, კაცური კაცობისა და ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, გარეგნულად მუდამ ხალისითა და იუმორით სავსე.

გაგვიჭირდება უშენოდ, ძალიან გაგვიჭირდება. ყველაზე მეტად კი შენს მეუღლეს, მანანას უმძიმს უშენობა. თქვენ ხომ „ერთ სულ და ერთ ხორც“ იყავით დღიდან თქვენი შეუღლებისა. ალბათ ესმის შენს სულს, როგორ მადლობს უფალს ყოველდღე შენთვის ლოცვის შემდეგ. მადლობს, რომ შენს გვერდით ამყოფა დედამიწიერი ცხოვრების 30 ბედნიერი წელი.

მე ყველაზე მეტად შენი თავმდაბლობა და უბრალოება მაოცებდა, ღვთაებრივი უბრალოება და ბავშვური სიწმინდე. შენ ჩემს თვალში დიდი ბავშვი იყავი, სამეცნიერო ხარისხებით და ამ ხარისხებზე ბევრად აღმატებული ცოდნითა და ინტელექტით განათებული, პატივცემული და დაფასებული ღვთისათნო ადამიანებისაგან. რა ვუყოთ, რომ ბევრისთვის გაუგებარი რჩებოდა შენი სისუფთავე და უბრალოება.

ამ მწუხარებაში ერთი იმედი გვასულდგმულებს. სასოებით შევცქერით შენი გაგასა და ლევანის დაოჯახებას, ეგებ შენს შთამომავლობაში გამოანათოს შენმა ღვთაებრივმა გენმა.

**ელდინო სადარაძე.**

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK